პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი | № 89 (12297) | კვირა, 15 აპრილი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

# მოწოდებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა 1962 წლის I მაისისათვის

1. გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ერთიანობისა და ძმობის დღეს!

2. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

3. გაუმარჯოს მშვიდობასა და მეგობრობას!

4. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მთელი ძალები მოახმარეთ სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებას!

წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

5. გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — დიად რევოლუციურ მოძღვრებას, ყველა ქვეყნის მშრომელთა მძლავრ იდეურ იარაღს!

6. მხურვალე სალამი ძმურ კომუნისტურ და მუშათა პარტიებს — მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა მებრძოლ ავანგარდებს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს კომუნისტების ერთიანობას და დარაზმულობას!

7. უფრო მაღლა აწიეთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა!

8. დაე მტკიცდებოდეს ყველა ქვეყნის მუშათა კლასისა და მშრომელთა მოქმედების ერთიანობა, მებრძოლი სოლიდარობა მშვიდობისა, დემოკრატიისა, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში!

9. მშრომელო ხალხებო! იბრძოლეთ კოლონიური სისტემის სრული ლიკვიდაციისათვის! იბრძოლეთ იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ და უპირობოდ განთავისუფლდეს ყველა კოლონიური ქვეყანა და ხალხი!

10. ყველა ქვეყნის ხალხებო! თქვენ ხართ გადამწყვეტი ძალა მშვიდობისათვის ბრძოლაში! იყავით ფხიზლად, ამხილეთ ომის იმპერიალისტი გამჩაღებლები — კაცობრიობის მტრები!

11. ყველა ქვეყნის ხალხებო! საყოველთაო და სრული განიარაღება მშვიდობისა და უშიშროების გარანტიაა. აქტიურად და გადაჭრით იბრძოლეთ საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის!

12. ყველა ქვეყნის ხალხებო! გადაჭრით იბრძოლეთ რაკეტულ-ატომური იარაღით გერმანელ რევანშისტთა აღჭურვის წინააღმდეგ! მოითხოვეთ გერმანიის საზავო ხელშეკრულების უსწრაფესი დადება და დასავლეთ ბერლინის გადაქცევა თავისუფალ დემილიტარიზებულ ქალაქად!

13. მხურვალე სალამი თავიანთი ხალხების თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მამაც მებრძოლებს, რომლებიც კაპიტალისტური ქვეყნების საპყრობილეებში იტანჯებიან! თავისუფლება რეაქციის მსხვერპლთ, კაპიტალის ტყვეებს!

14. გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ სისტემას — საერთაშორისო მუშათა კლასის პირმშოს, სოციალიზმისა და კომუნიზმის გზით მიმავალ თავისუფალ, სუვერენულ ხალხთა მძლავრ თანამეგობრობას!

15. ძმური სალამი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის დიდ ხალხებს შორის!

16. ძმური სალამი ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და ალბანელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

17. ძმური სალამი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და ბულგარელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

18. ძმური სალამი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და უნგრელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

19. ძმური სალამი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ, იბრძვიან თავიანთი ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის დემოკრატიულ საწყისებზე! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და ვიეტნამელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

20. ძმური სალამი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და გერმანელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

გაუმარჯოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას!

21. ძმური სალამი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ, იბრძვიან თავიანთი ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის დემოკრატიულ საწყისებზე! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და კორეელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

22. ძმური სალამი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და მონღოლი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

23. ძმური სალამი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და პოლონელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

24. ძმური სალამი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და რუმინელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

25. ძმური სალამი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და ჩეხოსლოვაკიელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

26. ძმური სალამი კუბის გმირ ხალხს, რომელიც დაადგა სოციალიზმის მშენებლობის გზას, თავდადებით იცავს თავისი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას!

დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირისა და კუბის ხალხებს შორის!

27. ძმური სალამი იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა ხალხისა და იუგოსლაველი ხალხის მეგობრობა და თანამშრომლობა მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ინტერესებისათვის!

28. მხურვალე სალამი დიდ ინდოელ ხალხს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხებს შორის!

29. მხურვალე სალამი დიდ ინდონეზიელ ხალხს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ხალხებს შორის!

30. მხურვალე სალამი ლაოსის ხალხს, რომელიც იბრძვის თავისი ქვეყნის მშვიდობისათვის, ნეიტრალიტეტისა და დამოუკიდებლობისათვის!

31. მხურვალე სალამი ბირმის, ცეილონის, კამბოჯის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის და თავიანთი ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის!

32. მხურვალე სალამი ავღანელ ხალხს! დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ავღანეთს შორის!

33. მხურვალე სალამი არაბთა ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტთა ხრიკების წინააღმდეგ, კოლონიალიზმის სრული ლიკვიდაციისათვის, თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის, ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის!

34. მხურვალე სალამი მამაც ალჟირელ ხალხს, რომელმაც მოიპოვა შესანიშნავი გამარჯვება თავისუფალი დამოუკიდებელი ალჟირის სახელმწიფოს შექმნის გზაზე!

დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს მეგობრობა საბჭოთა კავშირისა და ალჟირის ხალხებს შორის!

35. მხურვალე სალამი აფრიკის თავისუფალ სახელმწიფოთა ხალხებს, რომლებმაც დაამსხვრიეს კოლონიალიზმის ბორკილები და თავდადებით იბრძვიან თავიანთი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის!

36. მხურვალე სალამი კონგოელ ხალხს, რომელიც იბრძვის კონგოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის, კოლონიზატორთა ხრიკების წინააღმდეგ!

37. მხურვალე სალამი ლათინური ამერიკის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის!

38. გაუმარჯოს ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობის ინტერესებისათვის!

39. მხურვალე სალამი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშრომელებსა და მთელ პროგრესულ ძალებს, რომლებიც იბრძვიან მილიტარიზმისა და ფაშიზმის აღორძინების წინააღმდეგ! დაე მტკიცდებოდეს საბჭოთა ხალხისა და გერმანელი ხალხის მეგობრობა!

40. დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირისა და იტალიის ხალხებს შორის!

41. გაუმარჯოს მეგობრობასა და თანამშრომლობას საბჭოთა კავშირისა და ფინეთის რესპუბლიკის ხალხებს შორის!

42. დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა ხალხსა და შვეციის, ნორვეგიის, დანიის, ისლანდიის ხალხებს შორის!

43. გაუმარჯოს მეგობრობასა და თანამშრომლობას საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის ხალხებს შორის!

44. მხურვალე სალამი იაპონელ ხალხს, რომელიც იბრძვის თავის ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ბაზების წინააღმდეგ, თავისი ქვეყნის დამოუკიდებელი და დემოკრატიული განვითარებისათვის, მშვიდობისა და ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან მეგობრობისათვის!

45. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას — სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცების, მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პატივისცემის, ფართო ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას!

46. გაუმარჯოს გამარჯვებათა დიდებით მოსილ მამაც საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც ფხიზლად დგანან ჩვენი სამშობლოს მშვიდობის, სახელმწიფო ინტერესებისა და უშიშროების სადარაჯოზე!

47. საბჭოთა მეომრებო! მოიპოვეთ ახალი წარმატებანი საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, ბეჯითად დაეუფლეთ თანამედროვე ტექნიკასა და იარაღს, უნაკლოდ დაიცავით სამხედრო დისციპლინა, ყოველი ღონისძიებით აიმაღლეთ სიფხიზლე და საბრძოლო მზადყოფნა!

48. გაუმარჯოს და მტკიცდებოდეს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევი კავშირი — სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის გადამწყვეტი ძალა!

49. გაუმარჯოს და მტკიცდებოდეს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ერთიანობა და ძმური მეგობრობა — ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებისა და აყვავების წყარო!

50. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! კომუნიზმის აშენება ხალხის ხელის, ენერგიისა და გონების საქმეა! მთელი ძალები მოახმარეთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას!

51. ქალაქისა და სოფლის მშრომელებო! ბეჯითი მუშაობით უმოკლეს ისტორიულ ვადაში მივაღწიოთ გამარჯვებას კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში! დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ!

52. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უფრო გააფართოეთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის! ვადამდე შევასრულოთ შვიდწლედის მეოთხე წლის გეგმა!

53. დიდება კომუნისტური შრომის კოლექტივებსა და დამკვრელებს, წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს, რომლებიც კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში არიან! საუკეთესოთა გამოცდილება ყველა მშრომელის კუთვნილება გავხადოთ!

54. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! ყოველი ღონისძიებით განამტკიცეთ სოციალისტური საკუთრება — ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი ზრდისა და ხალხის ცხოვრების მსოფლიოში ყველაზე მაღალი დონის მიღწევის საფუძველი!

ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის!

55. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! თვითეული საბჭოთა ადამიანი თავისი შრომით აახლოებს კომუნიზმის გამარჯვებას! იბრძოლეთ იმისათვის, რომ განუხრელად განხორციელდეს კომუნიზმის მშენებელთა პრინციპი: ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს!

56. მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკებო! დაუცხრომლად გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება! განახორციელეთ კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, უფრო გაბედულად დანერგეთ წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები!

57. მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკებო! იბრძოლეთ კაპიტალურ დაბანდებათა უფრო გონივრული და ეკონომიური გამოყენებისათვის! თავი მოუყარეთ რესურსებს უმნიშვნელოვანეს ასამუშავებელ მშენებლობებზე!

58. მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! იბრძოლეთ წარმოების ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესებისათვის, ნედლეულის, ელექტროენერგიის, ლითონისა და სათბობის ეკონომიისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის! განავითარეთ რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მასობრივი მოძრაობა!

59. მძიმე ინდუსტრიის მუშაკებო! იბრძოლეთ ჩვენი ქვეყნის ტექნიკური პროგრესისა და ეკონომიური ძლიერების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საფუძვლის — მძიმე მრეწველობის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის!

60. საბჭოთა მეტალურგებო და მაღაროელებო! სრულყავით წარმოების ტექნიკა და ტექნოლოგია! უფრო სრულად გამოიყენეთ საწარმოო სიმძლავრენი! უფრო სწრაფად აითვისეთ ახალი მადნების საბადოები! მეტი მადანი, თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები, ფერადი და იშვიათი ლითონები სახალხო მეურნეობას!

61. საბჭოთა ენერგეტიკოსებო, ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელების მშენებლებო და მემონტაჟეებო! ელექტროფიკაცია კომუნისტური საზოგადოების ეკონომიკის ღერძია! უზრუნველყავით ელექტროენერგიის წარმოების გამსწრები ტემპები, შეამცირეთ ენერგოსისტემების მშენებლობისა და ექსპლოატაციის ღირებულება!

62. მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მუშაკებო! უფრო სწრაფად აითვისეთ მაღალი წარმადობისა და ეკონომიური უახლესი მანქანებისა და ხელსაწყოების, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებების წარმოება! მტკიცედ იბრძოლეთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური ხელახალი შეიარაღებისათვის!

63. ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკებო! გააძლიერეთ გეოლოგიურ-საძიებო და ბურღვის სამუშაოთა, ახალ საბადოთა ათვისების ტემპები! გაზარდეთ ნავთობგადასამუშავებელი ქარხნების სიმძლავრენი, გააუმჯობესეთ ნავთობპროდუქტების ხარისხი! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი ნავთობი და გაზი!

64. ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებო! უფრო ფართოდ დანერგეთ ქვანახშირის ამოღების კომპლექსური მექანიზაცია და ეფექტიანი ხერხები! შეამცირეთ ქვანახშირის თვითღირებულება და გააუმჯობესეთ მისი ხარისხი!

65. ქიმიური მრეწველობის მუშაკებო! უფრო სწრაფად აამუშავეთ და აითვისეთ ახალი სიმძლავრენი! მეტი კარგი ხარისხისა და იაფი საქონელი ქიმიური ნედლეულისაგან! მეტი მინერალური სასუქები სოფლის მეურნეობისათვის!

66. საბჭოთა მშენებლებო! განამტკიცეთ და სრულყავით სამშენებლო ინდუსტრია! გააძლიერეთ ახალი საწარმოების, საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოებისა და საბავშვო დაწესებულებების მშენებლობის ტემპები და გააუმჯობესეთ ხარისხი! აშენეთ მკვიდრი, ლამაზი და ეკონომიური შენობები და ნაგებობანი!

67. საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკებო! ყოველი ღონისძიებით გაადიდეთ ცემენტის, ახალ ეფექტიან საშენ მასალათა, ნაკეთობათა და ასაწყობ კონსტრუქციათა წარმოება!

68. სატყეო, ხის დამმუშავებელი და ქაღალდის მრეწველობის მუშაკებო! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი მაღალი ხარისხის მერქანი, ავეჯი, ცელულოზა და ქაღალდი!

69. მსუბუქი მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ საქონლის წარმოება, გააფართოეთ მისი ასორტიმენტი და გააუმჯობესეთ ხარისხი! მეტი მკვიდრი და ლამაზი ქსოვილები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საოჯახო საგნები მოსახლეობას.

70. კვების მრეწველობის მუშაკებო! ყოველი ღონისძიებით გაადიდეთ კვების პროდუქტების წარმოება, გააუმჯობესეთ მათი ხარისხი და გააფართოეთ ასორტიმენტი!

71. თევზის მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ თევზჭერა გაშლილ ზღვებში, ოკეანეებსა და შიგა წყალსატევებში! გააუმჯობესეთ თევზის პროდუქტების ხარისხი!

72. საბჭოთა ტრანსპორტის მუშაკებო! სრულყავით და თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვეთ რკინიგზის, საზღვაო, სამდინარო, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტი! შეამცირეთ ტვირთზიდვის ვადები! გააუმჯობესეთ მგზავრთა მომსახურება!

73. კავშირგაბმულობის მუშაკებო! განავითარეთ და სრულყავით კავშირგაბმულობის საშუალებანი! მიაღწიეთ ფოსტის, რადიოს, ტელევიზიის, ტელეფონის, ტელეგრაფის უნაკლო მუშაობას! გააუმჯობესეთ მოსახლეობის მომსახურება!

74. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა კომუნისტური მშენებლობის დამკვრელური ფრონტია, მთელი პარტიის, მთელი ხალხის საქმეა!

იბრძოლეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის!

75. სოფლის მეურნეობის მუშაკებო, ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების ხელმძღვანელებო და სპეციალისტებო! გააუმჯობესეთ თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობა! მთლიანად გამოიყენეთ სოფლის მეურნეობის მართვის ახალი სისტემის უპირატესობანი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის!

76. სოფლის მეურნეობის მშრომელებო! უფრო ფართოდ გაშალეთ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება საგაზაფხულო თესვის, ნათესების დამუშავებისა და მოსავლის აღების სანიმუშოდ განხორციელებისათვის, უკვე მიმდინარე წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების სერიოზული გადიდებისათვის!

77. სოფლის მეურნეობის მშრომელებო! გადაჭრით აღმოფხვერით ნათესბალახიანი სისტემა! გაბედულად დანერგეთ მიწათმოქმედების უფრო ინტენსიური სისტემები! დაუცხრომლად იბრძოლეთ ყველაზე პროდუქტიული კულტურების ფართოდ დანერგვისათვის, ყოველ ჰექტარზე უმცირესი დანახარჯებით პროდუქციის მაქსიმალური გამოსავლიანობისათვის!

78. სოფლის მეურნეობის მშრომელებო! მარცვლის წარმოების გადიდება სოფლის მეურნეობის აღმავლობის საფუძველთა საფუძველია. დაუცხრომლად გაადიდეთ ხორბლის, სიმინდის, ბარდის, ფეტვის, წიწიბურასა და სხვა მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების მოსავლიანობა!

79. ამხანაგო კოლმეურნეებო და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! თქვენი მოვალეობაა მისცეთ საბჭოთა ხალხს უფრო მეტი ხორცი, რძე, კარაქი, კვერცხი და სხვა პროდუქცია. ყოველი ღონისძიებით განავითარეთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა, აამაღლეთ პირუტყვის პროდუქტიულობა!

შექმენით მტკიცე საკვები ბაზა, იბრძოლეთ სიმინდის, შაქრის ჭარხლის, სტაფილოსა და პარკოსანი კულტურების უხვი მოსავლისათვის!

80. სოფლის მეურნეობის მშრომელებო! გაადიდეთ ბამბის, სელის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, კენკრის, ყურძნის, ჩაის წარმოება, გააუმჯობესეთ მათი ხარისხი!

81. კოლმეურნეებო, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მექანიზატორებო! დაუცხრომლად დანერგეთ მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება, კომპლექსური მექანიზაცია და ელექტროფიკაცია სოფლის მეურნეობაში! გაუფრთხილდით და კარგად გამოიყენეთ არსებული ტექნიკა!

82. კოლმეურნეებო! ყოველი ღონისძიებით გამოიყენეთ საკოლმეურნეო წყობილების უპირატესობანი, განამტკიცეთ საზოგადოებრივი მეურნეობა, განავითარეთ საკოლმეურნეო დემოკრატია!

კოლმეურნეობა კომუნიზმის სკოლაა გლეხობისათვის!

83. ყამირი მიწების მშრომელებო! მიაღწიეთ მარცვლეულის უხვ და მყარ მოსავალს! ყოველი ღონისძიებით განავითარეთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა და მეფრინველეობა! იბრძოლეთ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის!

84. საბჭოთა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკებო! იბრძოლეთ მოსახლეობის მომსახურების მაღალი კულტურისათვის, უკეთ შეისწავლეთ და უფრო სრულად დააკმაყოფილეთ მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებანი!

85. საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებო! მიაღწიეთ სახელმწიფო აპარატის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, გააძლიერეთ ორგანიზატორული მუშაობა მასებში! აღმოფხვერით ბიუროკრატიზმი, გულისხმიერად მოეკიდეთ მშრომელთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს!

86. მეცნიერებისა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაკებო! იბრძოლეთ მეცნიერების შემდგომი აყვავებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის! მიაღწიეთ წარმოებაში ახალ აღმოჩენათა და გამოკვლევათა უსწრაფესად დანერგვას! ამზადეთ კომუნიზმის ეპოქის შესაფერი სპეციალისტები!

დიდება მოწინავე საბჭოთა მეცნიერებას!

87. დიდება საბჭოთა მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, რომლებმაც ისტორიაში პირველად უზრუნველყვეს საბჭოთა კოსმონავტების ტრიუმფული გაფრენა მძლავრი კოსმოსური ხომალდებით დედამიწის გარშემო!

დიდება გმირ საბჭოთა კოსმონავტებს!

88. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო! უფრო მკაფიოდ ასახეთ თქვენს ნაწარმოებებში საბჭოთა ადამიანის საგმირო საქმეთა სიდიადე და სილამაზე! იბრძოლეთ ნაწარმოებთა მაღალი იდეურობისა და მხატვრული ოსტატობისათვის, ხალხის ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის ამოცანებთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო, ურღვევი კავშირისათვის!

89. პრესის, რადიოსა და ტელევიზიის, გამომცემლობებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკებო! იყავით პარტიის დიადი საქმისათვის, კომუნისტური იდეალების, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების განხორციელებისათვის აქტიური მებრძოლნი!

90. სახალხო განათლების მუშაკებო! გააუმჯობესეთ ბავშვთა სწავლების ხარისხი, იბრძოლეთ ცხოვრებასთან, წარმოებასთან სკოლის მჭიდრო კავშირისათვის! აღზარდეთ მოზარდი თაობა შრომისმოყვარეობის, კოლექტივიზმის, სამშობლოსადმი, კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით!

91. მედიცინის მუშაკებო! გააუმჯობესეთ და განავითარეთ ხალხის ჯანმრთელობის დაცვა, აამაღლეთ კულტურა სამკურნალო და სანიტარულ დაწესებულებათა მუშაობაში! პრაქტიკაში დანერგეთ მედიცინის მეცნიერების უახლესი მიღწევები!

92. გაუმარჯოს ჩვენს საერთო-სახალხო სოციალისტურ სახელმწიფოს! გაუმარჯოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს — ხელისუფლების ნამდვილად სახალხო ორგანოებს!

დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა სოციალისტური დემოკრატია!

93. საბჭოთა პროფკავშირებო! ყოველი ღონისძიებით განავითარეთ მუშათა კლასისა და ინტელიგენციის აქტივობა კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში! დაუცხრომლად იზრუნეთ მასების კომუნისტური შეგნებულობის ამაღლებისათვის, მუშათა და მოსამსახურეთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას!

94. გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს — კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებლებს!

95. გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწესა და რეზერვს, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს!

96. ქალიშვილებო და ჭაბუკებო! ისწავლეთ კომუნისტურად მუშაობა და ცხოვრება. იყავით რევოლუციური ტრადიციების ერთგული განმგრძობნი, კომუნიზმის შეგნებული მშენებლები, ყოველთვის მზად იყავით ჩვენი სამშობლოს დასაცავად!

გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა ახალგაზრდობას!

97. პიონერებო და მოსწავლეებო! ბეჯითად დაეუფლეთ ცოდნას, გიყვარდეთ და პატივი ეცით შრომას! ემზადეთ გახდეთ ლენინის საქმისათვის, კომუნიზმისათვის აქტიური მებრძოლნი!

98. კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში!

99. დიდება დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის სახელოვან მშენებელს, მსოფლიოს ყველა ადამიანის მშვიდობისა და ბედნიერებისათვის მამაც და ურყევ მებრძოლს!

100. გაუმარჯოს და განმტკიცდეს პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა — სოციალისტური წყობილების ძალისა და უძლეველობის წყარო, კომუნიზმის მშენებლობაში ახალ წარმატებათა საწინდარი!

101. გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის ციხე-სიმაგრეს, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ურყევ ბურჯს!

102. გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

103. გაუმარჯოს ლენინის მიერ შექმნილ სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ხალხის ნაცად ავანგარდს, საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

104. გაუმარჯოს კომუნიზმს, რომელიც ამკვიდრებს დედამიწაზე ყველა ხალხთა მშვიდობას, შრომას, თავისუფლებას, თანასწორობას, ძმობასა და ბედნიერებას!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

# ნ. ს. ხრუშჩოვის საპასუხო წერილი

## დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრისადმი

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ჰ. მაკმილანს გაუგზავნა 12 აპრილით დათარიღებული საპასუხო წერილი, რომელშიც აღნიშნავს, რომ საკითხი იმის შესახებ, რომ მოეწყოს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მიერ დაგეგმილ ატმოსფეროში ატომური იარაღის გამოცდების სერია, უკვე გადაწყვიტეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა.

იქმნება რწმენა, აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, რომ თქვენი წერილი და ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ერთობლივი განცხადება, რომელიც ამერიკისა და ინგლისის მთავრობებმა გამოაქვეყნეს 10 აპრილს პრესაში, იმისათვის კი არ ყოფილა საჭირო, რომ ნამდვილად ყოფილიყო მიღწეული შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, არამედ, ასე ვთქვათ, ხალხის რისხვის თავიდან აცილებისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ შეთანხმებისათვის ბევრ პრობლემაზე, რომლებიც დიდი ხანია მომწიფდა და კიდევაც გადამწიფდა, ნდობის საკითხი ძალიან დიდი მნიშვნელობის საკითხია.

თავის წერილში ნ. ს. ხრუშჩოვი წინადადებას იძლევა სწორად შეაფასონ მდგომარეობა, აირჩიონ მომწიფებული საერთაშორისო საკითხების გადაჭრის სწორი გზა. ეს ხელს შეუწყობს საჭირო ნდობის დამყარებას.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა პირველ რიგში დაასახელა გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებისა და დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო რეჟიმის ლიკვიდაციის საკითხი. მეორე მსოფლიო ომის ნაშთები, რომლებიც ევროპაში დარჩა, ხაზს უსვამს ნ. ს. ხრუშჩოვი, ნელი მოქმედების ნაღმებია, და არავინ არ იცის, როდის დადგება მათი აფეთქების დღე. საჭიროა გავნაღმოთ სახელმწიფოთა ურთიერთობა და განვამტკიცოთ მშვიდობა ევროპაში. ხოლო ამ გზაზე ვერავითარ შემთხვევაში ვერ ავუვლით გვერდს გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებას და მის საფუძველზე დასავლეთ ბერლინის, როგორც თავისუფალი ქალაქის, საკითხის გადაჭრას.

დიდი ხანია გაქრა საფუძვლები, რომლებსაც ემყარებოდა სამი სახელმწიფოს ჯარების ყოფნა დასავლეთ ბერლინში. როცა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ჯარები დასავლეთ ბერლინში მივიდნენ, ჩვენი ქვეყნები მოკავშირენი იყვნენ. ახლა ყველაფერი შეიცვალა. დასავლეთის სახელმწიფოებმა შექმნეს ნატოს აგრესიული ბლოკი, რომელიც მიმართულია სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ და პირველ რიგში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ახლა თქვენი ჯარები დასავლეთ ბერლინში არიან არა ჩვენი მოკავშირენი, არამედ საბჭოთა კავშირისადმი მტრული ნატოს აგრესიული ბლოკის ჯარები.

ნატოს ქვეყნები ფიქრობენ შექმნან და შეინარჩუნონ პლაცდარმი, კომუნიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს მხოლოდ ნდობის უქონლობა როდია. როცა ცდილობენ მოვლენათა განვითარებას ისეთი მიმართულება მისცენ, რომელმაც შეიძლება კატასტროფა გამოიწვიოს, ეს უკვე საკითხის საღი გაგების დაკარგვაა, საღი გონების დაკარგვაა.

ამრიგად, გამოდის, რომ პასუხისმგებლობით და ნდობის საჭიროების შეგნებით გამსჭვალვისათვის უნდა მოგვიწოდებდნენ არა ჩვენ, არამედ უწინარეს ყოვლისა დასავლეთის ქვეყნების ხელმძღვანელებს.

ჩვენს ქვეყნებს რომ ერთობლივად მოეწერათ ხელი გერმანიის საზავო ხელშეკრულებაზე, და ამით უზრუნველეყოთ ევროპაში მეორე მსოფლიო ომის ნაშთების ლიკვიდაცია, ჩვენ მოგვშორდებოდა უდიდესი ტვირთი და ნამდვილად გამეფდებოდა ნდობა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა ბევრი სხვა საკითხიც გადაგვეჭრა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა კვლავ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი ვერ დათანხმდება ხელი მოაწეროს ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის ისეთ შეთანხმებას, რომელიც ნატოს დაზვერვით ორგანოებს საშუალებას მისცემს საერთაშორისო კონტროლის საბაბით თავიანთი ადამიანები იყოლიონ საბჭოთა ტერიტორიაზე.

თქვენ, წერს ნ. ს. ხრუშჩოვი, გინდათ გარდა იმისა, რაც უკვე გაქვთ — გარდა სამხედრო ბაზების, საბჭოთა კავშირის საზღვრების ახლოს განლაგებული ჯარებისა მიიღოთ კიდევ ჩვენი ნებართვა დაუბრკოლებლად აწარმოოთ დაზვერვა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე.

როგორც ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები იბრძვიან საერთაშორისო კონტროლისათვის, რათა აწარმოონ დაზვერვა, მან გაიგო ჯერ კიდევ პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან საუბარში 1955 წელს ჟენევაში. ახლა დასავლეთის სახელმწიფოები იბრძვიან არა საჰაერო დაზვერვისათვის, არა „ღია ცისათვის" — ეს გეგმები უკვე საკმაოდ მხილებულია მთელი მსოფლიოს წინაშე, — ახლა მათ სურთ საზვერავი პუნქტები მოაწყონ სსრ კავშირში, რათა შეიტყონ ჩვენი რაკეტული ჯარებისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების განლაგება.

ნ. ს. ხრუშჩოვი ხაზს უსვამს, რომ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების ხელის მოწერა ისე, რომ კონტროლისათვის გამოყენებულ იქნას შემოწმების ეროვნული საშუალებანი, რომლებიც სახელმწიფოებს მოეპოვებათ, როგორც ამას საბჭოთა კავშირი მოითხოვს, თუნდაც დღესვე შეიძლება. ყველას კი ის აჯობებს, რომ გადავწყვიტოთ ძირეული საკითხი — ხელი მოვაწეროთ ხელშეკრულებას მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

რატომ არა სურთ დასავლეთის სახელმწიფოებს გამოგვცადონ და დაგვანახვონ თავიანთი გაგება და სიბრძნე განიარაღების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერით? ყველაფერი იმას მოწმობს, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს ამოძრავებს სრულიადაც არა მისწრაფება, — ხელი შეუწყონ საერთაშორისო ნდობის დამყარებას, არამედ მხოლოდ იმის სურვილი, რომ მიაღწიონ სამხედრო უპირატესობას საბჭოთა კავშირის წინაშე.

საბჭოთა მთავრობის მეთაური ისეთ საკითხებად, რომლებითაც შეიძლება შემოწმდეს სახელმწიფოთა გულწრფელობა და კეთილი განზრახვები, და რომელთა გადაჭრა განამტკიცებს ნდობას, ასახელებს საბჭოთა კავშირის წინადადებებს — დაიშალოს სამხედრო ბლოკები, ეროვნული საზღვრების ფარგლებში გაყვანილ იქნან უცხოელთა ჯარები სხვისი ტერიტორიებიდან.

ნატოს სახელმწიფოები ჩვენ არ გვენდობიან, ჩვენგან კი მოითხოვენ, რომ ფართოდ გავუღოთ საბჭოთა კავშირის კარი მათ დაზვერვას. თანაც ამბობენ, სხვანაირად ნდობის შექმნა არ შეიძლება. არა, ნდობა ორმხრივი უნდა იყოს, და იგი უნდა შექმნას ორივე მხარემ. ყველა ჩვენი წინადადება სწორედ ამ ურთიერთნდობას ისახავს მიზნად.

მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოები ურთიერთნდობის პოზიციიდან როდი უდგებიან საქმეს. რად ღირს თუნდაც ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალური კანონი, რომელიც ზღუდავს ვაჭრობას საბჭოთა კავშირთან. ასეთ კანონებს ჩვეულებრივად იმ ქვეყნების მიმართ იყენებენ, რომლებთანაც ომს აპირებენ.

ჩვენ ლამის ულტიმატუმი წამოგვიყენონ: შეუშვით თქვენში ჩვენი დაზვერვა, თორემ ამერიკის შეერთებული შტატები ატმოსფეროში ატომური იარაღის გამოცდების სერიას მოაწყობენო. მაგრამ ასეთი ენით ელაპარაკებიან მხოლოდ დამარცხებულ ქვეყანას, ქვეყანას, რომელიც ომს აგებს. მაგრამ ახლა საბჭოთა კავშირსა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის ომი არ არის. თქვენ ისიც იცით, აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, რომ ჩვენი ძალები სულ თანაბარი მაინც არის, — ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ მშვიდობის ძალები სჭარბობენ აგრესიისა და ომის ძალებს.

დიახ, კაცმა რომ თქვას, მე დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს არცა აქვთ იმის იმედი, რომ მათს მოთხოვნებს დაეთანხმებიან. მათ მხოლოდ ის უნდათ, რომ გამოიჩინონ თავი საზოგადოებრივი აზრის წინაშე, შექმნან შთაბეჭდილება, რომ ზრუნავენ იმისათვის, თუ როგორ აღმოფხვრან დაძაბულობა, განამტკიცონ ნდობა.

ნ. ს. ხრუშჩოვი თავის წერილში წერს: „თქვენ მიერ გამოცდის განგრძობა და გამოცდის შესახებ თქვენი გამოცხადებული გადაწყვეტილების განხორციელება გვავალებს მოვემზადოთ და გამოვცადოთ ჩვენი ატომური იარაღი. კვლავაც თქვენ მიერ ატომური იარაღის გამოცდა მიწისქვეშ, ატმოსფეროში, კოსმოსში თუ წყალქვეშ, აიძულებს საბჭოთა კავშირს გამოსცადოს თავისი ატომური იარაღი, რათა სოციალიზმის ქვეყნების დაცვა აგრესიული ძალების წინააღმდეგ, რომლებიც ყურს არ უგდებენ გონებას და ახორციელებენ გამომწვევ პოლიტიკას, ჯეროვან დონეზე იყოს".

საბჭოთა მთავრობის მეთაური აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიული მოღვაწეები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც კაპიტალს ფლობენ, ამჟამად შეშინებული არიან იმ ახლით, რაც ხდება საზოგადოების განვითარებაში, სოციალურ-პოლიტიკური წყობილების. საზოგადოებრივი სტრუქტურის ცვლილებებით ბევრ ქვეყანაში. მათ სურთ ძველი შეინარჩუნონ დაძაბულობის გაძლიერების, გამალებული შეიარაღებისა და „ომის ზღვარზე" პოლიტიკის განხორციელების გზით.

ამჟამად მსოფლიო განვითარებაში საშიში მომენტია, იმიტომ, რომ კომუნიზმის წინაშე შიშმა შეიძლება გონება წაართვას ვინმეს, და ეს შიში უკვე ართმევს გონებას ზოგიერთ ადამიანს, რომლებიც ამბობენ, კომუნიზმს სიკვდილი სჯობსო. ასეთ გაგებას რომ მივყვეთ, რასაკვირველია, შეიძლება მართლაც დადგეს სიკვდილი. მართალია, სიკვდილი არა მთელი კაცობრიობისათვის, მაგრამ ბევრისათვის.

მიმართავს რა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე აღნიშნავს: „მოდით დავძაბოთ ჩვენი ძალები, სწორად შევაფასოთ მსოფლიოში შექმნილი პირობები და ძალთა თანაფარდობა, გამოვიჩინოთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სახელმწიფოებრივი სიბრძნე, რათა გამოვნახოთ ჩვენს წინაშე მდგომი საკითხების სწორი გადაჭრა".

ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა: „მე მზად ვიქნები წავიდე ყოველ ადგილას, ყოველ დღესა და წუთს მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების დასადებად. მაშინ ატომური იარაღის გამოცდის საკითხი თავისთავად გადაიჭრებოდა, რამდენადაც ყოველგვარი აზრი დაეკარგებოდა ატომური იარაღის გამოცდას, რომელიც სავსებით უნდა მოიხსნას ხელშეკრულებით".

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა შენიშნა, მე არა მწამს, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დაეთანხმება სსრ კავშირის წინადადებას, იმიტომ, დასძენს ნ. ს. ხრუშჩოვი, რომ „არა მწამს იმ წრეების სიბრძნე, რომლებიც განსაზღვრავენ ახლა დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკას".

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ შევანელებთ ჩვენს ღონისძიებებს საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის ბრძოლაში. არა, ჩვენ კვლავაც ვიბრძოლებთ.

ბოლოს და ბოლოს ხალხები შეიგნებენ და ხელისუფლების სათავეში ჩააყენებენ ხალხის ინტერესების ნამდვილად ამსახველ პარტიებს, ხალხისა, რომელიც დაინტერესებულია იმით, რომ უზრუნველყოს მტკიცე მშვიდობა, შეინარჩუნოს თავისი შრომის ნაყოფი, რასაც ამჟამად გამალებული შეიარაღება ნთქამს. მაგრამ ამას სჭირდება დრო, სჭირდება მოთმინება. მოთმინება ჩვენ გვაქვს. ხოლო რაც შეეხება დროს, ვეცდებით დავაჩქაროთ მისი მიმდინარეობა. ჩვენ გულხელდაკრეფილი კი არ ვიქნებით და პასიურად კი არ დაველოდებით, არამედ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ვამხილოთ აგრესორები, ვამხილოთ ადამიანები, რომლებიც ომს ეთამაშებიან, რომლებსაც სათამაშოდ გაუხდიათ ხალხთა ბედი.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჰ. მაკმილანის წერილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისადმი შეიცავს თხოვნას — სერიოზული ყურადღება დაუთმოს წინადადებას, რომელსაც შეიცავს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ერთობლივი განცხადება. ჰ. მაკმილანი წერს, რომ თუ საბჭოთა კავშირი დაეთანხმება ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წინადადებას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ, შეიქმნება ნდობა ხალხებს შორის, სახელმწიფოებს შორის და რომ ამ წინადადების მიზანია არა დაეჭვების გაღიდება, არამედ ამ დაეჭვების მოსპობა. (საკდესი).

## საკდესის ცნობა

როგორც ცნობილი გახდა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საფრანგეთში სსრ კავშირის საელჩოს მეშვეობით სსრ კავშირის მთავრობის დავალებით 13 აპრილს გამოფენათა საერთაშორისო ბიუროს პარიზში გაუგზავნა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ამჟამად შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა ორ წელიწადზე ნაკლები ინტერვალით განზრახულია მოეწყოს ფაქტიურად ორი მსოფლიო გამოფენა — ერთი ნიუ-იორკში 1964-1965 წლებში და მეორე — მოსკოვში 1967 წელს. ამის შედეგად მსოფლიოს მეტი წილი ქვეყნები დადგნენ არჩევანის წინაშე: ან მიიღონ მონაწილეობა ორ მსოფლიო გამოფენაში ორ წელიწადზე ნაკლები ინტერვალით, ანდა უპირატესობა მისცენ ერთ-ერთ ამ გამოფენას მეორის საზიანოდ. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ისიც, რომ გამოფენები, როცა მათ შორის ასეთი მოკლე ინტერვალია, ექსპონატების შინაარსით ნაკლებად განსხვავებული იქნება ერთიმეორისაგან.

ამ პირობებში სსრ კავშირის მთავრობამ, ნათქვამია განცხადებაში, მიიღო გადაწყვეტილება არ გამართოს 1967 წელს მსოფლიო გამოფენა მოსკოვში და გადაიტანოს იგი უფრო შორეული დროისათვის. საბჭოთა მთავრობა თავის დროზე მიმართავს გამოფენათა საერთაშორისო ბიუროს მოსკოვის მსოფლიო გამოფენის მოწყობის საკითხზე 1928 წლის კონვენციის შესაბამისად.

## ახალგაზრდობა წინსვლაა ჩვენი, მან აამაღლა სამშობლოს ბჭენი.

# კომკავშირული გულით, მარჯვენით

## ფოლადის მეგობარი

მარტენის საამქროს მუშვიდე ღუმელთან ჯარასავით ტრიალებს ახალგაზრდა მეფოლადე. იგი ოთარ ლომიძეა. 5 წლის წინათ მოვიდა ქარხანაში. პირველად ვეებერთელა ღუმელების გვერდით რომ გაიარა და მაღალმა ტემპერატურამ გაახურა, ცოტა არ იყოს შეფიქრიანდა. მაგრამ...

— აბა რას იტყვიან სოფელში; შეშინდაო, სამუდამოდ მომეჭრება თავი. და მაშინვე მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო: რაც უნდა მოხდეს, შეეჩვიოს ღუმელს, ისწავლოს ფოლადის დნობა.

ასეც მოხდა. ორი წელია, რაც ახალგაზრდულ ბრიგადას ჩაუდგა სათავეში და დამოუკიდებლად ადნობს ფოლადს.

— ნიჭიერი და მონდომებული ბიჭია,— ამბობენ მასზე საამქროში და იქვე დასძენენ, რომ ცნობილი მეფოლადის ა. ფანცულაიას მიხედვით ამ უკანასკნელ ორ წელიწადში ასობით ტონა ფოლადი შეიტანა სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობისათვის საჭირო ლითონის ფონდში. თვითონ ოთარი კი ამბობს: — მარტო ამას ვერ გავაკეთებდი, ხელშემწყობები ტ. ნოზაძე და შ. მიკირტუმაშვილი მხარში რომ არ მედგნენ.

სამივენი ღუმელთან ფოლადის დნობის პროცესში გავიცანით. ყოჩაღი ბიჭები არიან. თუ ყოველდღე არა, ყოველ მეორე დღეს მაინც უზრუნველყოფენ ჩქაროსნულ დნობას.

— მუშაობის შემდეგ როგორ ატარებთ დროს? — ვეკითხებით ბრიგადირს.

— დავდივართ კინოებში, კონცერტებზე. ძალიან გვიყვარს სპორტი. თავისუფალ დროს დიდ ნაწილს სწავლისათვის ვიყენებთ. — მე, — ამბობს ო. ლომიძე, — წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ვსწავლობ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ხოლო შ. მიკირტუმაშვილი — მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში. ტ. ნოზაძეს კი გადაწყვეტილი აქვს წელს აუცილებლად მოეწყოს უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში.

ო. ლომიძის ახალგაზრდული ბრიგადა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელისათვის იბრძვის. საამქროს კომკავშირის კომიტეტის მდივანმა რ. კუხალეიშვილმა თქვა: სულ ცოტა ხანში განვიხილავთ საკითხს და ვფიქრობთ ბრიგადას ეს სახელი მივაკუთვნოთ. ბიჭებმა დაიმსახურეს.

12 აპრილს წარმატებით დამთავრდა ღუმელის რემონტი. ამავე დღეს მოსკოვში გაემგზავრა ო. ლომიძე, რომელიც ამას წინათ საქართველოს ალკკ XXIV ყრილობამ საკავშირო ალკკ XIV ყრილობის დელეგატად აირჩია. გაცილების წინ პირველმა ხელშემწყობმა ტ. ნოზაძემ უთხრა:

— ოთარ, რემონტის შემდეგ ხვალ პირველი დნობა ჩქაროსნული უნდა იყოს. მართალია მუშაობა უშენოდ მოგვიხდება, მაგრამ დარდი ნურაფრისა გექნება. დეპეშას მოსკოვში გამოგიგზავნით.

მეგობრები ერთმანეთს დაემშვიდობნენ. ბიჭებმა სიტყვას არ უღალატეს და აი ო. ლომიძემაც მოსკოვში მიიღო დეპეშა:

„წინასაყრილობო დღეების ნადნობი თითქმის ყველა ჩქაროსნულია. სალამს ვუძღვნით კომკავშირის XIV ყრილობას".

## დელეგატი ფაბრიკიდან

ძაბული სილაგაძის ბიოგრაფია ბევრის ბიოგრაფიასა ჰგავს: დაამთავრა საშუალო სკოლა, ჩააბარა მისაღები გამოცდები ინსტიტუტში, თუმცა ვერ მოხვდა უმაღლესში, მაგრამ ზოგიერთივით ხელი როდი აიღო სწავლასა და შრომაზე. თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა და წიგნებიც არ დაივიწყა. იგი სამღებრო საამქროს ცვლის ნორმადარი გახდა. გაიწაფა თავის სპეციალობაში. ყველამ შეიყვარა იგი, და მალე ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის მდივნად აირჩიეს. ფაბრიკაში მომუშავე 900-მდე კომკავშირელიდან 130 უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს. ძაბულის ინიციატივით უმაღლეს სასწავლებელში შესვლის მსურველთა მოსამზადებელი კურსებიც შეიქმნა.

ფაბრიკის ახალგაზრდები ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ წარმოების რიტმულობისათვის ბრძოლას, მათაც შექმნეს რიტმულობისათვის მებრძოლთა შტაბი საკავშირო ალკკ XIV ყრილობის აღსანიშნავად. გადაწყვიტეს 20 აპრილისათვის შეასრულონ 4 თვის საწარმოო გეგმა, სათბობის, ელექტროენერგიისა და დამხმარე მასალების ეკონომიური ხარჯვით კომკავშირულ ყულაბაში შეიტანონ 1000 მანეთი.

ეს წელი სამახსოვროდ დარჩება ძაბულის. წელს ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტს. და კიდევ? იგი საკავშირო ალკკ XIV ყრილობის დელეგატია.







## მომავალი არქიტექტორი

სამხატვრო აკადემიის ნათელ აუდიტორიაში მოლბერტებია გაშლილი, რომელთა წინ სტუდენტი გოგონები და ვაჟები ფუსფუსებენ.

აი, თვალებბრიალა გოგონას ყალმის სათუთი მოსმით გამოჰყავს შენობის ფრონტონის ლამაზი ჩუქურთმა, გულმოდგინებით და საქმის სიყვარულით ავლებს თვითეულ შტრიხს, ხაზს. ეს გოგონა ნინო ლორთქიფანიძეა, რომელსაც ბეჯით, ფრიადოსან სტუდენტად იცნობენ ამხანაგები.

ნინოს თითქმის აუხდა წლობით ნასათუთევი ოცნება — ყოფილიყო დიდი და ლამაზი სახლების მშენებელი. იგი არქიტექტურის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტია. აი ახლა საკურსო თემაზე — სოფლის კლუბის პროექტზე მუშაობს. მართალია, მან იცის, რომ ეს რეალური პროექტი არ არის, მხოლოდ საკურსო დავალებაა და მხოლოდ ქაღალდზე აშენდება ესკიზის სახით, მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობას ერთი წუთითაც არ კარგავს. იგი ოცნებობს იმ ახლო მომავალზე, როცა მის მიერ დაპროექტებული ნაგებობა დაამშვენებს სოფელს და ქალაქს.

ხვალ მოსკოვში საბჭოთა ახალგაზრდების დიდ ფორუმზე ნინოც იქნება, როგორც დელეგატი. ბევრ რამეზე იქნება აქ საუბარი. ნინოს კი განსაკუთრებით აინტერესებს მეტი მოისმინოს ქალაქად და სოფლად გაჩაღებულ დიდ მშენებლობათა შესახებ, არქიტექტორთა მომავალ ამოცანებზე, და რა გასაკვირველია, იგი ხომ მომავალი არქიტექტორია!

* * *

სურათებზე: საკავშირო ალკკ XIV ყრილობის დელეგატები (ზემოდან) ო. ლომიძე, ძ. სილაგაძე და ნ. ლორთქიფანიძე.

## ხვალ მოსკოვში გაიხსნება საკავშირო ალკკ XIV ყრილობა




# თავისუფალი აფრიკა ახალ გზაზე




აფრიკა დღეს

# ტელეგრაფი გვატყობინებს

## დახმარება აფრიკელ ძმებს

ხელოვნება და ცხოვრება



სურათზე (მარცხნიდან): ქართული თეატრის მოღვაწეთა ერთი ჯგუფი. სხედან — დ. ჩხეიძე — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ვ. ანჯაფარიძე — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, პ. ფრანგიშვილი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ბ. ჟღენტი — კრიტიკოსი, დ. ანთაძე — რესპუბლიკის სახალხო არტისტი, მ. მრევლიშვილი — საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, მწერალი, შ. აფხაიძე — მწერალი, ა. ომიაძე — რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ა. ხორავა — სსრ კავშირის სახალხო არტისტი; დგანან — ა. ჩხარტიშვილი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი, გ. გეგეჭკორი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ე. აფხაიძე — რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ე. მანჯგალაძე — რესპუბლიკის სახალხო არტისტი, მ. ჯაფარიძე — რესპუბლიკის სახალხო არტისტი, დ. მჭედლიძე — რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ნ. შვანგირაძე — თეატრმცოდნე, ვ. ნინიძე — რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

ფოტომონტაჟი ვლ. გინზბურგისა.

## საქართველოს თეატრალური საზოგადოების V ყრილობის გამო

# ჩვენი დღეების მხარდამხარ

ხვალ, 16 აპრილს გაიხსნება ქართველ თეატრალურ მოღვაწეთა დიდი ფორუმი — საქართველოს თეატრალური საზოგადოების მეხუთე ყრილობა. ეს არის დიდად მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი თეატრის ცხოვრებაში.

თეატრალური საზოგადოება, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩამოყალიბდა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილ. ჭავჭავაძის თაოსნობით და რომელიც რევოლუციამდე „ქართულ დრამატულ საზოგადოებად" იწოდებოდა — ყველაზე უძველესი შემოქმედებითი კავშირია საქართველოში. ქართული თეატრი თავისი არსებობის მთელ მანძილზე გვევლინებოდა არა მარტო ეროვნულობის დაცვის საიმედო ბურჯად, არამედ სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის ჩაუქრობელ კერად, რომელიც დაუღალავად აღვივებდა მშრომელთა კლასობრივ თვითშეგნებას, ნერგავდა უკეთესი მერმისის რწმენას, თამამად მოუწოდებდა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ყველა ეროვნების ხალხთა თავისუფლებისა და კეთილდღეობისაკენ.

კიდევ უფრო გაიზარდა და განმტკიცდა ქართული თეატრის ურთიერთობა ხალხთან საბჭოთა ეპოქაში. ქართული თეატრი არც უწინ იყო ვიწროდ შემოფარგლული კამერული დაწესებულება, მაგრამ ჩვენს დროში იგი ნამდვილად სახალხო, ჭეშმარიტად დემოკრატიულ შემოქმედებით ორგანიზაციად გადაიქცა. კომუნისტური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის მზრუნველობისა და მხარდაჭერის წყალობით ქართული თეატრი მსოფლიო თეატრალური კულტურის მწვერვალებს ეზიარა, საერთაშორისო სახელი მოიხვეჭა და ამჟამად რეალისტური თეატრალური ხელოვნების პირველ რიგებში დგას.

შედარებით ხანმოკლე დროში, სულ რაღაც ერთი საუკუნის მანძილზე, ქართულმა სცენამ უდიდესი ტრადიციები დააგროვა და აღზარდა არა ერთი დიდებული ხელოვანი, რომელთაც ეროვნული კულტურის წინსვლას ფასდაუდებელი ამაგი დასდეს და რომელთა სახელებითაც ღირსეულად ამაყობს მთელი ჩვენი კულტურა. ამ დიდებულ მამულიშვილთა შორის არიან ვ. აბაშიძე, ე. გუნია, ვ. მესხიშვილი, მ. საფაროვა-აბაშიძისა, ნ. გაბუნია, კ. მესხი, კ. მარჯანიშვილი, შ. დადიანი და მრავალი სხვა. საბჭოთა პერიოდში სახელოვან თეატრალურ მოღვაწეთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. თეატრალური ხელოვნების ყველა უბანმა მოგვცა ათეულობით ახალი და სასიქადულო სახელი, რომელნიც მტკიცედ დამკვიდრდნენ ქართული თეატრის მდიდარ მატიანეში.

ჩვენი თეატრალური ხელოვნების ეპოქალურ წარმატებებში უდიდესი დამსახურება მიუძღვის იმ ორგანიზაციას, რომელიც რევოლუციამდეც და ჩვენს დროშიც, აქტიურად რაზმავდა თეატრის მოღვაწეებს, ქმედითად ეხმარებოდა ძნელზე-ძნელ საქმიანობაში, მაღლა სწევდა თეატრის პროფესიულ დონეს და ყოველნაირად უწყობდა ხელს თვითმყოფადი ქართული სცენის ხერხემლის გამაგრებას, მისი შინაარსობრივი სიღრმისა და მხატვრული გაქანების ზრდას, ეროვნული ხელოვნების ამ უმნიშვნელოვანესი დარგის ჭეშმარიტ გაფურჩქვნას.

სწორედ ასეთია საქართველოს თეატრალური საზოგადოება, რომელიც არა მარტო უძველესი შემოქმედებითი კავშირია საქართველოში, არამედ ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე ხალხმრავალი და ძლიერი შემოქმედებითი ორგანიზაციაა. და ეს არ არის გასაკვირველი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხელოვნების დარგებიდან თეატრი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და აუცილებლად საჭირო კერაა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურისა.

საქართველოში დღეს 21 სახელმწიფო თეატრი მუშაობს, რომლებშიც რამდენიმე ათეული შემოქმედებითი მუშაკი მოღვაწეობს. მათ კვალში უდგანან არც თუ ისე დიდი ხნის წინ შექმნილი სახალხო თეატრები, რომელთა რიცხვმა ჩვენში ოცდაათს მიაღწია და რომელთა საქმიანობა სულ უფრო და უფრო აქტიური ხდება, ხოლო როლი სულ უფრო მნიშვნელოვანი და საპატიო. სახელმწიფო და სახალხო თეატრებს გარდა რესპუბლიკაში შექმნილია არა ერთი ათეული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლებიც ასევე მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან. აი, სწორედ ეს არის ის ცოცხალი ბაზა, რომელსაც ეყრდნობა თეატრის მუშაკთა გამაერთიანებელი ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია — „თეატრალური საზოგადოება".

საქართველოს თეატრალური საზოგადოება დღეისათვის 1.400-ზე მეტ წევრს აერთიანებს. მასში შედიან რესპუბლიკაში არსებული დრამატული, საოპერო, მუსიკალური კომედიის, მოზარდ მაყურებელთა, თოჯინების და სხვა თეატრების მაღალკვალიფიციური მსახიობები და რეჟისორები, მწერლები და დრამატურგები, თეატრალური მხატვრები და კომპოზიტორები, თეატრმცოდნეები — თეატრის კრიტიკოსები, ისტორიკოსები და თეორეტიკოსები, თეატრალურ ხელოვნებასთან დაკავშირებულ დისციპლინათა პედაგოგები, თეატრალური ორკესტრების სოლისტები, დირიჟორები და ქორეოგრაფები, თეატრის ადმინისტრაციული და მაღალკვალიფიციური ტექნიკური პერსონალი, ხელოვნების ორგანიზაციების და დაწესებულებათა ხელმძღვანელი მუშაკები, თეატრალური საზოგადოების საწარმო-დაწესებულებათა წამყვანი სპეციალისტები და მრავალი სხვანი.

ამ უბრალო ჩამოთვლიდანაც კი ცხადი ხდება, თუ სპეციალისტთა და თეატრალთა რაოდენ ფართო წრეებს აერთიანებს და აბამს მუშაობაში ეს დიდად მნიშვნელოვანი ორგანიზაცია, რომლის პირდაპირი მოვალეობაა ყოველმხრივ დაეხმაროს და ხელი შეუწყოს თეატრალური ხელოვნების ყველა დარგის ჰარმონიულ განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება მრავალფეროვან საქმიანობას ეწევა. სრულად ითვალისწინებს იმ დიდ როლს, რომელიც თეატრალურ ხელოვნებას მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ეკისრება, იგი ეხმარება თეატრებს მაღალიდეური და მაღალმხატვრული რეპერტუარის შერჩევაში, განსაკუთრებით ორიგინალური ეროვნული დრამატურგიული ნიმუშებისა, რადგან ეროვნული თეატრის ჭეშმარიტ საფუძველს, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული რეპერტუარი უნდა წარმოადგენდეს. საზოგადოების ცდა მიმართულია იქითკენ, რომ თეატრმა რაც შეიძლება ფართოდ გაუღოს კარი საბჭოთა დღევანდელობას, მეტი ადგილი დაუთმოს თანამედროვე საბჭოთა ადამიანს, უფრო სრულად გვაჩვენოს მისი სახე, მისი შთაგონებული შრომა და მაღალი მოქალაქეობრივ-პატრიოტული თვისებები, რათა ამით ხელი შეუწყოს ჩვენი გმირული სოციალისტური სინამდვილის „შიგნიდან" გახსნას.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ფართო ხასიათის ღონისძიებებს ატარებს თეატრალურ ხელოვნებაში სოციალისტური რეალიზმის მეთოდის უკეთ მომარჯვებისა და ხელოვნების მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის დარგში, რათა ამ გზით ხელი შეუწყოს თეატრის აქტივის იდეურ მომზადებას, მისი მხატვრული ოსტატობის ზრდას და თეორიული კვალიფიკაციის ამაღლებას.

როცა ჩვენი ქვეყანა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში იმყოფება, როცა იგი მთლიანი ფრონტით უტევს კაცობრიობის სანუკვარი მიზნის უახლოეს ხანში განხორციელებას, როცა ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო მეტ გაქანებას იღებენ შრომის საზოგადოებრივი საწყისები — კიდევ მეტად იზრდება თეატრალური საზოგადოების როლი და მნიშვნელობაც. ამ ახალ პირობებში საქართველოს თეატრალური საზოგადოება მოწოდებულია ყოველდღიურად იღვწოდეს მთელი თეატრალური ხელოვნების ცხოვრებასთან კიდევ უფრო მეტი დაახლოებისათვის, თეატრისა და ორიგინალური ქართული დრამატურგიის ხალხურობისა და პარტიულობისათვის.

წინა IV ყრილობიდან V ყრილობამდე თითქმის ხუთწლიანმა პერიოდმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში საზოგადოებამ საკმაოდ დიდი და შრომატევადი მუშაობა გასწია. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სახალხო თეატრების განმტკიცებისათვის საჭირო ღონისძიებების გამომუშავებას. თეატრალურმა საზოგადოებამ კულტურის სამინისტროსთან ერთად მოაწყო სახალხო თეატრების მუშაკთა რესპუბლიკური კონფერენცია, რომელზეც ფართოდ იქნა განხილული ამ თეატრების მდგომარეობისა და მომავალი განვითარების აქტუალური საკითხები.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების მუშაობას მიღწევებთან ერთად სერიოზული ნაკლოვანებებიც ახასიათებდა. საზოგადოების ყრილობა მოწოდებულია ყურადღება გაამახვილოს ამ ნაკლოვანებებზე, რათა სამართლიანი კრიტიკის გზით გამოააშკარავოს ხარვეზები საზოგადოების მიმდინარე მუშაობაში და ამით კიდევ უფრო ეფექტური გახადოს, კიდევ უფრო სრულყოს და გააძლიეროს მისი მომავალი საქმიანობა.

ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობა მოელის, რომ ყრილობაზე გაიმართება დიდი და პრინციპული საუბარი ქართული თეატრის დღევანდელ დღეზე, მის ხვალინდელ ბედზე, სასიცოცხლო შემოქმედებით და პრაქტიკულ საკითხებზე, თეატრალური ხელოვნების საჭირბოროტო პრობლემებზე. თეატრები და მისი შემოქმედებითი ძალები მოელიან, რომ თეატრალური საზოგადოების ყრილობაზე სერიოზული მსჯელობის საგანი გახდება მომავალი მუშაობის ის ახალი ფორმები და ხერხები, რასაც გვკარნახებს თეატრის საჭიროება, დიდი სახალხო ხელოვნების ამოცანები და დაძაბული ბრძოლა კომუნისტური საზოგადოებისათვის.

ვუსურვოთ წარმატება საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა დიდ ფორუმს — თეატრალური საზოგადოების V ყრილობას.

გიორგი ციციშვილი.

## მუსიკის სამყაროში...

### კლინში — ჩაიკოვსკისთან



ორმოცი ახალგაზრდა მუსიკოსი მიდიოდა „მოსკოვ-კლინის" ექსპრესით. მათ ორი კვირაა, რაც ერთმანეთი გაიცნეს პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის მეორე საერთაშორისო კონკურსზე და მას შემდეგ მეგობრები გახდნენ.

...მიადგნენ კლინს, თითქოს მიწიდან ამოძვრაო. ყველა ხედავს ჭიშკარს, რომელსაც მივყავართ პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის სახლ-მუზეუმში, და ალერსიან, სულ მთლად ჭაღარა იური ლევის-ძე დავიდოვს — დიდი კომპოზიტორის 83 წლის დისწულს.

— ძალიან მიხარია თქვენი ნახვა,— ამბობს იგი ჯერ რუსულად, შემდეგ ფრანგულად და გერმანულად.—მინდა თქვენ ისევე გიყვარდეთ ეს ძველი სახლი, როგორც ყოველ რუს ადამიანს უყვარს.

სტუმრები ჩაიკოვსკის სახლის ოთახებში შედიან. მათ უჩვენებენ საჩუქრებსა და პეტრე ილიას-ძის კუთვნილ პირად ნივთებს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, ნოტების ხელნაწერებს, წერილებს, შავად შესრულებულ ნაწარმოებებს.

კონკურსის მონაწილეებთან ერთად კლინში ჩამოვიდნენ ჟიურის წევრებიც—პროფესორი ეფრემ ციმბალისტი, პაბლო კასალსი და სხვები. ისინი მეგობრულად ესაუბრნენ ი. ლ. დავიდოვს.

ვ. კლიმენკო.

მოსკოვი — კლინი, 13 აპრილი.

### შეჯიბრებაში ებმებიან პიანისტები

მოსკოვი, 14 აპრილი. (საკდესი). დღეს პიანისტთა კონკურსის 55 მონაწილე პირველად შეიკრიბა კონსერვატორიის მცირე დარბაზში, სადაც გაიმართა წილისყრა.

პირველი ნომერი ამოიღო სამუელ ლიპმან-ლესლიმ (ამერიკის შეერთებული შტატები). ეს 29 წლის ამერიკელი 15 აპრილს დღის 2 საათზე კონსერვატორიის დიდ დარბაზში გახსნის პიანისტთა ასპარეზობას. ძნელი, მაგრამ საპატიო ამოცანაა! უკანასკნელი — № 55 ერგო ფრიდრიხ მახერს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). „ყველაზე ბედნიერი" — № 15, რომლითაც წარსულ კონკურსზე ვან კლიბერნი გამოდიოდა, ერგო უოლტერ ბოლს (კანადა).

## ფერთა ზეიმი

საბჭოთა კავშირის მხატვართა პირველი საკავშირო ყრილობის გადაწყვეტილებით ყოველწლიურად აპრილში საბჭოთა მხატვრებთან ერთად მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები დღესასწაულობენ „მხატვრის დღეს", „სახვითი ხელოვნების კვირეულს".

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა ვ. ი. ლენინმა 1918 წლის 12 აპრილს ხელი მოაწერა დეკრეტს მონუმენტური პროპაგანდის შესახებ, რომელიც წარმოადგენდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პირველ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას სახვითი ხელოვნების დარგში. ამ დღიდან საბჭოთა მხატვრების წინაშე დაისახა ახალი, რევოლუციური იდეებისა და გრძნობების გამომხატველი რეალისტური ხელოვნების — ნამდვილი სახალხო ხელოვნების შექმნის დიადი გეგმა, რომელსაც ლენინმა „მონუმენტური პროპაგანდა" უწოდა.

მონუმენტურ პროპაგანდას დღეს კიდევ უფრო მეტი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ ჩვენს ხალხს დაუსახა კომუნიზმის მშენებლობის ახალი გრანდიოზული პროგრამა, რომლის განხორციელებაშიც მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ სახვითი ხელოვნების მუშაკებმა.

ქართველი მხატვრები ყოველთვის იყვნენ და დღესაც არიან მოწინავეთა რიგებში. მათ საფუძველი აქვთ, განსაკუთრებული გულისხმიერებით შეხვდნენ და აღტაცებით გამოეხმაურონ „სახვითი ხელოვნების კვირეულს".

თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართულ სახვით ხელოვნებას არასოდეს არა ჰქონია ისეთი კარგი პირობები შემოქმედების ფართოდ გადაშლისათვის, როგორც დღეს. სასიხარულოა ისიც, რომ ქართველი მხატვრები არასოდეს არ ყოფილან ისე მრავალრიცხოვანი და შეკავშირებული, როგორც დღეს. ამჟამად საქართველოს მხატვართა კავშირში გაერთიანებულია ხუთასზე მეტი მხატვარი. ქართველი მხატვრების ხელი მოჩანს ყველგან, სადაც კი საჭიროა სახვითი ხელოვნების გამოვლინება.

იმედია, ჩვენი მხატვრები კვლავაც მიაღწევენ წარმატებებს თავიანთ შემოქმედებაში და ძვირფას წვლილს შეიტანენ მრავალეროვანი სოციალისტური კულტურის საგანძურში, რითაც ერთხელ კიდევ დაადასტურებენ „მონუმენტური პროპაგანდის" უდიდეს მნიშვნელობას, დიდი ლენინის გენიალურ შორსმჭვრეტელობას.

## ნ. კანდელაკის სახელოსნოში

როგორც კი მის სახელოსნოში შეხვალთ, თვალში გეცემათ ქვაში გამოკვეთილი ადამიანთა სახეები, ფიგურები, ზოგი ნატურალურზე უფრო დიდი, რთულ მოძრაობაში, ზოგი კი პატარა, მარტივი. აქვეა ამ სკულპტურების ავტორი — მაღალი, წარმოსადეგი მამაკაცი, რომელსაც ხშირი თმა მაღლა გადაუყრია და წამოქოხილი წარბებიდან დინჯად შემოგყურებთ. ვინ არ იცნობს მას, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარს, ქართველ მოქანდაკეთა მთელი პლეადის აღმზრდელს, პროფესორ ნიკოლოზ კანდელაკს.

— პატივცემულო ნიკოლოზ, მოგილოცავთ მხატვრის დღეს, — ვეუბნებით ღვაწლმოსილ ხელოვანს, — რომლისთვისაც 15 აპრილი ყველაზე საზეიმო დღე გამხდარა, — ამ კვირას ალბათ სტუმრები გეწვევიან თქვენი ნამუშევრების გასაცნობად?

— შარშან და შარშანწინ ბევრი ხალხი იყო ჩემთან, მოვიდნენ ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშები, მწერლები, კომპოზიტორები, ახლო-მახლო მაცხოვრებლები, სტუდენტები. ეს ჩემთვის მეტად ძვირფასი დღე იყო. წელსაც; ალბათ, კიდევ მოვლენ.

— საერთოდ, განაგრძობს საუბარს ჩვენი მასპინძელი, მხატვრის სახელოსნოში ხალხის მოწვევა — ეს არის ცხოვრებასთან ხელოვნების დაახლოების მეტად კარგი ფორმა. ჩვენს ხალხს საშუალება ეძლევა უშუალოდ გაეცნოს მხატვრის „სამზარეულოს", ნახოს როგორ იქმნება ფერწერული ტილო თუ სკულპტურული ფიგურა, ნახოს აგრეთვე მისი ადრინდელი ნამუშევრები, შეაფასოს ისინი და აქვე გამოთქვას თავისი მოსაზრება.

მეორე მხრივ ეს მოვლენა მხატვრისთვისაც დიდი ბიძგის მიმცემია. ვისაც ცოტა ნამუშევარი აქვს და ნაკლებად ღირებული, ის შერცხვება ხალხის წინაშე, მათ წინაშე, ვინც უშუალოდ არის მისი ნაფიქრისა თუ ნახელავის შემფასებელი, ამიტომაც ხელოვნების ამ დარგის ყველა ჩვენი მოღვაწე ყოველწლიურად ცდილობს მეტი იმუშაოს, მეტი მაღალხარისხოვანი ნაწარმოები შექმნას.

ვათვალიერებთ ნამუშევრებს — ქვაში, თაბაშირში, მარმარილოსა თუ ბრინჯაოში გამოკვეთილ ადამიანთა პორტრეტებს. რაოდენ ადამიანური გრძნობები, ხასიათები, თვისებებია ჩაქსოვილი თვითეულ მათგანში, რაოდენი მხატვრული სიძლიერით და ოსტატობით არის გამოძერწილი ყოველი მათგანი. ვისია ეს პორტრეტები? ჩვენი თანამედროვეების — მოწინავე მუშების, კოლმეურნეების, ექიმების, მსახიობების, მწერლების, საბჭოთა კავშირის გმირების. ზოგიერთი ქანდაკება საბურველშია გახვეული.

— ეს ჩემი ახალი ნამუშევრებია, — გვიხსნის მოქანდაკე, — აქ არის მქსოველი ქალის ეთერ სოლომონიას, აკაკი ფალავას, აკადემიკოს ვ. ჟღენტის პორტრეტები. სულ ცოტაღა დამრჩა სამუშაო, მალე მათ საბურველსაც ჩამოვხსნი.

ბევრ საინტერესო ნამუშევარს გაეცნობიან მხატვრის კვირეულის დღეებში ჩვენი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები გამოჩენილი მოქანდაკის ნიკოლოზ კანდელაკის სახელოსნოში.

ლ. ხუბულური.

## დიდ გზაზე

ნამდვილი ცხოვრება — აი რა არის ასახული ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრის დინარა ნოდიას სურათებში. გუშინ ვესაუბრეთ მას:

— ისედაც ლამაზია ჩვენი სინამდვილე, — ამბობს მხატვარი, — და ის ისე უნდა დახატო, როგორც ხედავ და წარმოგიდგენია. შელამაზება ვნებს ხელოვნებას.

სწორედ ამით მიიქცია მან ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება, როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. იგი საბჭოთა კავშირის მხატვართა ნამუშევრების მრავალ გამოფენაზე იღებდა მონაწილეობას. დინარას სურათებმა მოიარეს მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, პარიზი, ნიუ-იორკი, მეხიკო, ლონდონი, ბრიუსელი, ვარშავა, ვენა.





## დღეს იწყება მხატვართა კვირეული

### ფუნჯი მეტყველებს

შევდივართ კორნელი სანაძის სახელოსნოში. კედლებზე განლაგებულ სურათებშია ჩაქსოვილი მხატვრის ფიქრი, მისი ოცნება, მთელი სულიერი სამყარო.

თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ იგრძნოთ მშობლიური ქვეყნის სილამაზე, ჩვენი მდიდარი წარსული, შესანიშნავი თანამედროვეობა. ფუნჯის ენით არის ამეტყველებული საქართველოს მშვენიერება, მზიური რესპუბლიკის ყველა კუთხე, თავისი დამახასიათებელი ყოფითი ნიშნებით, ბუნების პეიზაჟებით.

გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტების მთელი სერია შეუქმნია მხატვარს. მრავალთაგან ყურადღებას იქცევს ფერებით შესრულებული კოტე მარჯანიშვილის პორტრეტი. მოქმედებაში ვხედავთ თმაშევერცხლილ რეჟისორს. სცენის სიღრმეში იხედება. მგონია, როლის შემსრულებელს აკვირდება საბჭოთა თეატრის ჯადოქარი.

რამდენ სითბოს გაგრძნობინებთ სურათი — საქართველოს სახალხო არტისტი უშანგი ჩხეიძე ჰამლეტის როლში.

დიდი მოაზროვნე ვეხატება იოანე პეტრიწონელის პორტრეტით.

შესანიშნავად გადმოგვცემს მხატვარი დავით გურამიშვილის, სულხან-საბა ორბელიანის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის სახეებს. დიდი შთაგონებით შესრულებულია გალაკტიონ ტაბიძის, ალექსანდრე აბაშელის, მსახიობების: თამარ ციციშვილის და რუმინელი მომღერალი ქალის-ჩერნეის პორტრეტები.

სახელოსნოში ვნახეთ ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ამსახველი სურათები. ახალ სამგორში სამუშაოდ მიეშურება მხარზე ბარგადებული კოლმეურნე. აგერ კიდევ კლდესთან ლოდზე ჩამომჯდარა მოხუცი ხევსური და მშობლიურ მთებს გაჰყურებს, მოლზეა მოკალათებული ჭაღარა მომკელი, ნამგალი მუხლზე დაუდვია, ისვენებს ლორთქო ბალახებით და მინდვრის ყვავილებით გარემოცული.



„გაზაფხული". მხატვარი კ. სანაძე.

განსაკუთრებით საინტერესოა პეიზაჟები. ჩაის ბუჩქნარით ამწვანებულ მთებთან დგას ფორთოხლის ხე, ოქროს ნაყოფით დახუნძლულა, გოგონებიც მოსულან, რომ დაკრიფონ ბარაქიანი მოსავალი.

ახალი ცხოვრების მშენებელ ადამიანებს, დღევანდელ სოფელს, ჩვენი ქვეყნის ლამაზ ბუნებას — აი რას ვნახავთ მხატვარ კორნელი სანაძის სურათებში, რომლებსაც სიამით უჩვენებს ყველა მსურველს შრომისმოყვარე შემოქმედი.

ვ. ჟურული.

## ნახეთ, გაეცანით

15 აპრილიდან 22 აპრილამდე, მხატვრის კვირეულის დღეებში, შეგიძლიათ ნახოთ!

**საგაზაფხულო გამოფენა** — საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში.

**ახალგაზრდა მხატვართა და მხატვარ გაიოზ კოტრიკაძის გამოფენა** — თბილისის ოფიცერთა სახლში.

**საქართველოს მხატვარ ქალთა გამოფენა** — საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში.

**მხატვარ ზურაბ ლეჟავას ტურისტული ჩანახატების გამოფენა** — საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში.

**პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური გამოფენა** — თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

**სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა** — თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

**მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა** — ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში და მ. თოიძის სახელობის მე-11 სახელოსნო სასწავლებელში.

**არქიტექტორთა სურათებისა და ნამუშევრების გამოფენა** — ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში.

**კინომხატვართა ესკიზის გამოფენა** — „ქართული ფილმის" სტუდიაში.

**სახვითი ხელოვნების წრის წევრთა ნამუშევრების გამოფენა** — ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბში და რკინიგზის ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლში.

**ხალხური შემოქმედების გამოფენა** — საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლში.

**სპექტაკლების ესკიზებისა და მაკეტების გამოფენა.** — ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის, რუსთაველის სახელობის, მარჯანიშვილის სახელობის, გრიბოედოვის სახელობის, მოზარდ მაყურებელთა ქართულ და რუსულ, შაუმიანის სახელობის სომხურ, თოჯინების ქართულ თეატრებში.

**მხატვარ ნ. იანქოშვილის ნამუშევრების გამოფენა** — რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში.

**„ერთი დღის" ეტიუდის გამოფენა** — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

## ესტუმრეთ მათ, კარი ღიაა!

აპრილი ყვავილობის თვეა. გაზაფხულის ეს მშვენიერი დრო აირჩიეს მხატვრებმა თავიანთი დღესასწაულისათვის. მხატვართა კვირეულის დღეებში დაწესებულია „ღია კარის" დღეები ქართველ მხატვართა და მოქანდაკეთა — ნ. კანდელაკის, ს. კაკაბაძის, შ. მიქატაძის და კ. სანაძის სახელოსნოებში. ყველას შეუძლია ესტუმროს მათ, გაიგოს რას ქმნიან, რით არიან შთაგონებულნი.

მოდი შევიხედოთ სახვითი ხელოვნების ოსტატების შემოქმედებით ლაბორატორიაში. ბევრ მათს ნამუშევარს უკვე ვიცნობთ, მაგრამ ბევრია ისეთი, რომელიც ჯერ არ გამოფენილა და ხელოვანის სახელოსნოებში ინახება. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტები ეწვივნენ ქართული სახვითი ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს, გაეცნენ მათს მუშაობას და მკითხველებს მოუთხრობენ ხელოვანთა შემოქმედებით გეგმებზე.

თქვენც გაინტერესებთ? ესტუმრეთ! კარი ღიაა! აი მისამართებიც:

ნიკოლოზ კანდელაკი — მცხეთის ქ. № 14,

სილოვან კაკაბაძე — ლენინის ქ. № 68,

შოთა მიქატაძე — ანაგის ქ. № 18,

კორნელი სანაძე — ხოშტარიას ქ. № 1-ა.

# ქართული პეიზაჟის დიდოსტატი

**ა. ციმაკურიძის დაბადების 80 წლისთავის გამო**



**რამდენიმე** წლის წინათ კიდევ შევძლო ხილვა იმ დიდი მხატვრისა, რომელმაც ქართულ საპეიზაჟო ხელოვნებაში ახალი ხანა შექმნა. თავის სამშობლოს კარგი ოსტატების თაობა აღუზარდა. მის სახელთან არის დაკავშირებული რევოლუციამდელი და საბჭოთა ქართული საპეიზაჟო ხელოვნების განვითარების ისტორია.

ჯერ კიდევ 1915 წელს ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ აუწყებდა საზოგადოებას ალ. ციმაკურიძის სახით „ერთგული ხელოვნების ახალი ვარსკვლავის“ გამოჩენას. სტატიის ავტორი დიდ სიხარულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ქართველ მხატვრებს, რომელთა რიცხვი თითებზე იყო ჩამოსათვლელი, ემატებოდა კიდევ ერთი, მეტად თვალსაჩინო შემოქმედი: მისთვის მოსკოვის ფერწერის უმაღლეს სასწავლებელს პირველი ხარისხის მხატვრის წოდება მიენიჭებინა, რაც რუსეთის გაზეთებს საქვეყნოდ ცნობილი გაეხადათ.

„ციმაკურიძის ცხოვრება ნათლად გვიმტკიცებს, — განაგრძობდა სტატიის ავტორი, რომ იქ, სადაც სიყვარულია არჩეული საქმისადმი და შრომისადმი, ყოველი გაჭირვება ადვილი გადასალახეია. მისი ცხოვრება ერთხელ კიდევ ნათელყოფს იმ დებულებას, რომ ნიჭი ბოლოს და ბოლოს თავის გზას ნახავს, ნიჭის პატრონმა დიდი ჭირ-ვარამიც რომ გამოიაროს“.

მართლაც, ბევრი ჭირ-ვარამი უნახავს ქვიშხეთელი ღარიბი ქვრივის ბიჭს — სანდლიას თავის ბავშვობასა და სიჭაბუკეში. დუხჭირმა ცხოვრებამ ნორმალური სწავლის საშუალება აღუკვეთა და მხოლოდ ექვსი კლასის დამთავრებით დაკმაყოფილება არგუნა. ამის შემდეგ იგი ჯერ თბილისშია, მცირე სამხატვრო მომზადებას გადის, მერე კი მოსკოვის სასწავლებელში სწავლას ქველმოქმედი მოღვაწეების დახმარებით ახერხებს. ზოგადი განათლების უქმარობა მუდამ დარდად სდევდა ესოდენ დიდი ნიჭის, გასაოცარი შინაგანი ხილვისა და ტემპერამენტის მქონე მხატვარს. რის თქმაც სიტყვიერად არ შეეძლო, იშვიათი ძალით ათქმევინებდა ფერებს.

ვისაც კი ოდესმე ალექსანდრე ციმაკურიძის დახატული ქვიშხეთისა თუ ბორჯომის ხეობათა ხედები უნახავს, შეუძლებელია ასეთი სურვილი არ დაბადებოდა: ნეტავი მიჩვენა მისი ავტორი, რომელშიც ასეთი ქარტეხილივით ძლიერი სული ტრიალებს, ვისაც ყოველგვარი ფუნჯი ეპატარავება მოზღვავებული გრძნობების გადმოსაცემად.

ეს სურვილი მე თვითონაც ჯერ კიდევ მოწაფეობის წლებში დამებადა. გავიდა დრო, გავხდი თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი. მახსოვს პირველად გრიბოედოვის ქუჩაზე აკადემიისაკენ მომავალი მიჩვენეს ალექსანდრე ციმაკურიძე. ჩემს თვალწინ მოდიოდა ადამიანი, რომელიც ქართული საპეიზაჟო ხელოვნების ახალი ხანის ცოცხალ განსახიერებად წარმომიდგა, უნებლიეთ ქუდი მოვიხადე, თუმცა იგი ჯერ ძალზე შორს იყო. ეს ვახლდათ ათლეტური გარეგნობის, ჯმუხი და ნაკვთმაგარი სახის ვაჟკაცი; ტაატით დადიოდა, მძიმე, სრულიად აუჩქარებელ ნაბიჯებს დგამდა.

იმ მღელვარე რიტმისა და ფერის არაჩვეულებრივად თამამი მეტყველების მიხედვით, რაც ციმაკურიძის პეიზაჟებს ახასიათებს, მათი ავტორი დიდ მჭევრმეტყველ ადამიანად წარმომედგინა, მაგრამ აი მოულოდნელობა: მეტისმეტად სიტყვაძუნწი აღმოჩნდა. მოსწავლე მხატვრები მისგან ბევრ საინტერესო აზრს ეგებულობდით, მაგრამ თითქმის სრულიად უსიტყვოდ: თვალებისა და წარბების მოძრაობით, იფიქრებდით, ესოდენ მდიდარ ემოციათა სამყარო მხოლოდ მიმიკურ კუნთებთან და წარბებთან არის დაკავშირებული. რამდენი ბავშვური უშუალობა, მიამიტობა, სიმარტივე იყო შერეული ამ მოუქნელი ათლეტის სულში. როგორ უხვად შეეწოვა ამ დიდი შინაგანი კულტურის ადამიანს მთის ჰაერისა და წყაროს წყლის სისპეტაკე, მშობლიური მიწისა და ბალახის სურნელი.

ვისაც ოდესმე მაინც უნახავს ალ. ციმაკურიძის მიერ დახატული მზით გაჩაშკაშებული ქვიშხეთური ასწლოვანი კაკლები, რომელთა შორის მოჩანს მხატვრის კოხტა და უპრეტენზიო სახლკარი, შეუძლებელია მათი ხილვის სურვილი არ დაბადებოდა.

სამამულო ომის პირველ წლებში, როდესაც საბჭოთა მხატვრების ნაწილი ღრმა ზურგში ეწეოდა თავდ პატრიოტულ საქმიანობას, მოსკოვიდან ჩვენს სახელოვან პეიზაჟისტს საბჭოთა მხატვრების მეთაური აკადემიკოსი ალ. გერასიმოვი სწერდა: „ძვირფასო ძმაო სანდრო! ამ სტრიქონებს გწერ ჩვენთვის ყველაზე უმძიმეს დღეებში. საქმე ის არის, რომ მე, როგორც საკავშირო მხატვართა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ყველა გავგზავნე და დავაბინავე, საკუთარი თავისა და ოჯახის გარდა. ახლა ჩემი ჯერიც დადგა, მაგრამ არავინ ისე არ მიზიდავს, როგორც შენ, შენი პატარა ქოხი, დიდი კაკლის ჩრდილები. მინდა შენთან დაბინავება“.

ალექსანდრე ციმაკურიძე ჩვენს თვალწინ ქმნიდა ქართული პეიზაჟის შედევრებს. სულ მცირე ხანია ჩვენთან აღარ არის, მაგრამ ისეთი გრძნობა გვიპყრობს, თითქოს რეალურ ადამიანს კი არა, ლეგენდარულ პიროვნებას ვიგონებდეთ.

**ო. ფირალიშვილი.**
დოცენტი





# მ. ა. შოლოხოვი შოტლანდიაში

[illegible]

...პრეზიდენტი ტ. მ. ნოქსი, რექტორი ცნობილი ინგლისელი მწერალი ჩარლზ სნოუ, პროფესორები და მასწავლებლები ტრადიციული [illegible]

# ახალგაზრდა მხატვრის უცხოური ალბომიდან



[illegible] პედაგოგი გ. დემეტრაძე.

საბჭოთა ახალგაზრდები ეწვივნენ ჩიკაგოს, სან-ფრანცისკოს, ვაშინგტონს, ნიუ-იორკს, აგრეთვე პენსილვანიის, ნიუ-იორკისა და ჩრდილოეთ კაროლინის შტატებს.

მხატვარმა კ. მახარაძემ ამერიკაში მოგზაურობისას უამრავი ჩანახატი შექმნა და ყველა ერთად „უცხოური ალბომის“ სახელწოდებით გააერთიანა.

ამჟამად ვაქვეყნებთ ორ ჩანახატს კ. მახარაძის ამ ალბომიდან.

მხატვრის მოგზაურობის შთაბეჭდილებებსა და ზოგიერთ დანარჩენ ჩანახატებს გამოვაქვეყნებთ უახლოეს ნომერში.

# ნაღვლიანი ისტორია

**საყოფაცხოვრებო თემაზე**

**შინ** მხოლოდ ბავშვები იყვნენ, გოგონა მაგიდასთან იჯდა და უხმოდ კითხულობდა. ბიჭი ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილი ზღვას გაჰყურებდა და ვიღაცას უცინოდა ნავზე ამ სიშორიდან. მერე უცებ მოშორდა ფანჯარას და დასთან მივიდა.

— რას კითხულობ, იზა, მამას წერილი ხომ არ მოვიდა?

— არა.

— აბა ეს რა ქაღალდებია?...

— ძველი წერილებია.

— მაჩვენე!.. ხმამაღლა წაიკითხე.

— შენი საქმე არ არის, გული ნუ გამიწყალე, თორემ გცემ იცოდე.

ბიჭი ოჯახში ყველაზე უმცროსი იყო და გათამამებული. დის გაბრაზება უყვარდა. მაგრამ მიხვდა, რომ ამჯერად გოგონა ხასიათზე არ იყო და ალბათ მართლაც შეუსრულებდა მუქარას. დას მოშორდა და ისევ ფანჯარასთან მივიდა. მაგრამ ზღვაზე აღარც გემები ჩანდნენ, არც ნავებით მოსეირნენი, და მალე მოსწყინდა.

— ეზოში ჩავალ, იზაბელა.

— ჩადი, — მაშინვე დაეთანხმა გოგონა. არასოდეს ასე არ სწყურებია მარტოობა. დღეს შემთხვევით წააწყდა დედის მიერ საგანგებოდ გადამალულ ხელნაწერებს და უნდოდა დედის სამუშაოდან დაბრუნებამდე მოესწრო მათი წაკითხვა.

ეს იყო უმთავრესად ბარათები მამისა შვილებისადმი გაგზავნილი და შვილებისა — მამისადმი. აქვე აღმოჩნდა იზაბელას უფროსი დის — ინეზას დღიურების მომცრო რვეული.

წერილები ბლომად იყო. დედას წესრიგი უყვარდა და ეს წერილებიც თანმიმდევრობით დაელაგებინა თარიღების მიხედვით.

„ჩემო საყვარელო და სანატრელო მამიკო!

გაკოცებთ მრავალს. როგორ ხარ, ხომ კარგად? იმედია ჯანმრთელად იქნები. ჩვენც არა გვიშავს რა, კარგად ვართ. მე კარგად ვსწავლობ. კარგი ნიშნები მაქვს. დავდივარ სხვადასხვა წრეებში, ვსწავლობ ცეკვას, სიმღერას და დაკვრას...

მამიკო, ჩვენი დარდი ნუ გექნება, სირცხვილს არაფერში გაჭმევთ. მაპატიე, წერილი რომ დაგიგვიანე. მომწერე, ჩვენი სურათი და ამანათი თუ მიიღე. მამიკო, დედამ შეასრულა შენი თხოვნა: ძველ სამსახურს თავი დაანება და ახალ სამსახურში გადავიდა.

მეტი რა მოგწერო.

შენი **ინეზა**.

12 მარტი 1953 წელი“.

იქვე, ქვემოთ, ფანქრით იყო მიწერილი: „მამიკო, გაკოცებ მრავალს და გეხვევი. იზაბელა“, ხოლო გვერდით მეორე ფურცელზე შემოხაზული იყო ორი პაწია ხელი და ეწერა: „მამიკო, ეს ჩემი ხელია, ეს იზაბელასი, ჩვენ დიდი გოგოები ვართ“.

ეს წერილი ინეზამ და იზამ მამას საპატიმროში გაუგზავნეს. დიდი გოგონები ვართო, მამის გასახარებლად წერდნენ, თორემ ჯერ პატარები იყვნენ, ინეზა ცხრა წლისა, იზაბელა — ექვსისა. ხოლო თენგო მაშინ დაბადებულიც არ იყო. იგი მამის პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ დაიბადა.

მამა ორმოცდაცამეტი წლის მაისში დაბრუნდა. ო, რა სიხარული იყო ოჯახში! დედა ვაშლებს რომ დაურიგებდა ბავშვებს, ისინი მამას უნახავდნენ, კამფეტს მისცემდა, მამას მიურბენინებდნენ.

მამა შინ იყო, თავზე ადგათ, და უხაროდათ, უხაროდათ, რომ არასოდეს დასჭირდებოდათ მისთვის მოკითხვის ბარათების გაგზავნა.

ეჰ, კარგი იყო არ დასჭირვებოდათ, მაგრამ დასჭირდათ.

მამის დაბრუნების შემდეგ ერთხანს მშვიდად და ბედნიერად ცხოვრობდნენ. მერე თენგოც გაჩნდა და ახალი სიხარული შეემატა ოჯახს. მაგრამ ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა.

გოგონას წინ უწყვია მთელი დასტა წერილები, რომლებიც იმ ავადმოსაგონარ დროის ამბებს ეხება. ეს მიწერმოწერა არაფრით არა ჰგავს გაუჩვეველი ხელით დაწერილ იმ ადრინდელ ბარათებს, ბავშვების უნაზესი გულისცემა და უმანკო სუნთქვა რომ ახლავს.

ამ ხელნაწერებში იპოვნით ყველაფერს — მუქარას, ეგოიზმს, გაბოროტებას, ვნებას, თვალთმაქცობას... — ყველაფერს სიყვარულის, სიკეთისა და გონიერების გარდა.

ამ წერილების ავტორები არიან შალვა ნოდია — ინეზას, იზაბელას და თენგიზის მამა, შუა ხანს გადაცილებული კაცი, პროფესიით პედაგოგი, ბევრის მომსწრე და ბევრის მნახველი, თამარ ტუღუში — ორნაქმარევი ქალი, ვაჟკაცი შვილის დედა, და ვინმე ნორა ჩიტია.

ეს ორი ქალი, ორი უცხო პიროვნება წარბშეუხრელად, ურცხვად და უბოდიშოდ შეიჭრა ნოდიების მყუდრო ოჯახურ ცხოვრებაში და არივ-დარია, ააფორიაქა ყველაფერი.

თამარ ტუღუში სიყვარულის სახელით მოქმედებდა: „შენ მომისაჯე, რომ ვიტანჯო იმ სიყვარულის შეგრძნებით, რომელიც 1946 წელს გიგრძენი შენგან“, — სწერს იგი შალვას ერთ-ერთ წერილში, და აბა განსაჯეთ, სადაც „ასეთი სიყვარულია,“ იქ ოჯახი და ბავშვები რა სახსენებელია!

მართალია, ეს „ტანჯული“ შეყვარებული, როგორც კი მისი გულით საყვარელი ციხეში მოხვდა, მაშინვე გათხოვდა. მაგრამ რა ვუყოთ, ამას ხუ გავიხსენებთ, თუ უბედური გავხდი და გავთხოვდი, მდგომარეობამ მაიძულაო, — სწერდა შალვას თამარი.

**ისიც** მართალია, რომ იმ დღეებში შალვა ნოდიას ცოლი და შვილები ჰყავდა ერთადერთ პატრონად, იმედად და ნუგეშად. სამაგიეროდ თამარმა ერთგულება იმით დაუმტკიცა, რომ როგორც კი შალვა პატიმრობიდან დაბრუნდა, მაშინვე გაეყარა ქმარს და ძველ სიყვარულს ახალი ცეცხლი შეუნთო:

„მე თავს არ ვიცოცხლებ, თუ შენ ჩემი არ იქნები. ამას დიდი ამბავი არ უნდა, ხუთი წუთი და გავთავისუფლდები... ჩემი გული შენთან არის, ჩემი სიცოცხლე შენა ხარ, თუ ვერ გნახე, მოვკვდები... მოგიკვდეს შენი სამი შვილი, განსაკუთრებით თენგიზი, თუ არ ჩამოხვიდე, თუ ჩემი ოდნავ სიყვარული გაქვს... თუ შენ ჩემი გულისათვის კარგავ ყველაფერს, დარწმუნებული იყავი, მეც შენი ერთგული ვარ... ვიხრჩობი, სუნთქვა შემეკრა, შენს უნახავად მოვკვდები“.

ასე სწერდა მიჯნურობისა და დიდი სიყვარულის სახელით შალვას. და ამის შემდეგ ჰყოფნიდა ძალა წერილებში ბავშვებთან თავი ემართლებინა: „მე თქვენთვის მამა არ წამირთმევია და არც გართმევთ, თვითონ მაიძულებს, საშველს არ მაძლევს, ყველაფერი დედათქვენს დააბრალეთ“. ხოლო როცა ბავშვებმა ეს არ დაუჯერეს და უფროსმა გოგონამ თავისი და-ძმის სახელით კვლავ სთხოვა თამარს ჩამოშორებოდა მამას, ქალმა მუქარით სავსე წერილი გაუგზავნა ბავშვებს: „იცოდეთ თავს ნუ შემომასაღებთ, მე შემძლებ ჩემი ტანჯვა-წამება ვაზღვევინო იმას, ვინც ეს გამიკეთა. ყველა თავს გაუფრთხილდით, ათი წელიც რომ მომისაჯონ, მე ჩემსას გავაკეთებ, ჩემი თამაზი დიდი ბიჭია და მას შეუძლია თავს მოუაროს, ციხეშიც მომაკითხოს“.

**ასეთ** ქალს რა ძალა დაუდგება წინ! თქვა და გაიტანა თავისი: შალვამ ველარ გაუძლო შორით დაგვას, დატოვა ცოლშვილი და თამართან გადასახლდა ქუთაისში.

მიწერ-მოწერაში ასევე ნათლად არის დახატული ნორა ჩიტიას როლი და დიდი ღვაწლი თამარ ტუღუშისა და შალვა ნოდიას სამიჯნურო ისტორიაში. იგი არა მარტო ხელს უწყობდა მათ დაახლოებას, მეტიც; თავს უფლებას აძლევდა დაეტუქსა და დაეშინებინა ბავშვები, რომლებიც სწერდნენ და ემუდარებოდნენ მამას დაბრუნებულიყო შინ. ერთ-ერთ წერილში ნორა ინეზას სწერს: „გირჩევ წერილების წერას თავი დაანებო, შენს სკოლას მიხედე და შენს წიგნებს, თორემ ხუთებიც უკან დაგრჩება და შენი თავიც... გაფრინდა ის დრო, აწი ველარ დაეწევი... თამარის ადგილას სხვა რომ იყოს, მეტს გააკეთებს“.

ბავშვებს მაინც არ შეეძლოთ გაჩუმება, რადგან მამა კვლავაც უყვარდათ და ეიმედებოდათ. წერილებს უგზავნიდნენ: ეხვეწებოდნენ, ემუდარებოდნენ, ხანაც საყვედურს უთვლიდნენ და არცხვენდნენ.

მაგრამ მამა მთლად გახევდა და გაქვავდა. არ გინდა დაიჯერო, რომ მამის ხელით არის დაწერილი შვილისადმი მიმართული ეს სტრიქონები: „ცოდვაა, რომ ხალხის მოტყუებით სისხლით მოპოვებულ კაპიკებს შენ გვიგზავნიდე“. (მკითხველისათვის გასაგები რომ იყოს ეს ფრაზა, დავუმატებთ, რომ პედაგოგი შალვა ნოდია ახლა მაღაზიის გამგეა).

ამას მშობელი სწერს შვილს, თოთხმეტი წლის გოგონას ინეზას, იმას, ვინც ლუკმას იკლებდა, ბებიას ჩამოტანილ ჩურჩხელებს პირს არ მიაკარებდა, რომ მამისათვის გაეგზავნა საპატიმროში.

ამის შემდეგ გოგონას დიდხანს ძალა არ ეყო კვლავ მიემართა მამისათვის. მან მხოლოდ თავის დღიურში ჩაწერა: „მამა ჩემთვის მკვდარია, აწი მე არასოდეს მივალ მასთან, არც წერილს მივწერ. მართალია ეს შეიძლება დამემჩნეს, მაგრამ სულ რომ მოვკვდე, მასთან არ მივალ. როგორ მინდა ეს სიტყვა შევასრულო!“.

ბოლომდე მართლაც ვერ შეასრულა ეს სიტყვა ინეზამ. მამის დავიწყება შეუძლებელი იყო, სადღაც გულის სიღრმეში კიდევ უყვარდა იგი, სადღაც კიდევ ბჟუტავდა იმედის შუქი, რომ მამა კვლავ დაუბრუნდებოდა ოჯახს.

ამ იმედმა სძლია ბავშვის გულისწყრომას და ინეზამ კვლავ მისწერა წერილი მამას... მაგრამ მამის გული და გრძნობა დახშული იყო შვილებისათვის. ბოლოს და ბოლოს მას თავი მოაბეზრეს შვილებმა, „თავი დამანებეთ — სწერს იგი ინეზას. — ამ დღეებში სასამართლოს მოწმე იქნები და შენც იმედია შენს „ორატორულ ნიჭს“ იქ გამოავლენ შენი პიონერული ყელსახვევით“. (დედასთან განქორწინების სასამართლოთი ემუქრება შალვა შვილს).

არა და არა, ბავშვები მაინც არ ცხრებოდნენ.

„მამა, მამიკო! — ხელებგაწვდილი მოუხმობდნენ მშობელს.

ასე იყო წლების განმავლობაში, ბავშვობა გაუმწარდათ ინეზას, იზაბელას და თენგიზს. ინეზა უფროსი იყო და ყველაზე მეტად ის დარდობდა.

უსიხარულო ბავშვობამ, ამდენმა დარდმა და ძღელვარებამ გატეხა გოგონას ჯანმრთელობა. დიდხანს იავადმყოფა და გარდაიცვალა.

ძნელია თქვა და ამტკიცო, რომ მამა გახდა შვილის სიკვდილის მიზეზი. მაგრამ ის ხომ მართალია, რომ გოგონამ საფლავში თან ჩაიტანა უმამოდ მიტოვებული პატარა ძმისა და დის, გამწარებული დედის დარდი...

**იზაბელამ** დაამთავრა კითხვა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მოუშუშებელი ჭრილობა ხელახლა დაუსერეს და მიხვდა ჭრილობა, მამამ რომ მიაყენა მის გულს, არასოდეს მოუშუშდებოდა.

უცებ თენგომ შემოაღო კარი.

— რა გატირებს, გოგო? — წარბები შეკრა ბიჭუნამ. ვერ იტანდა, დედასა და დას თვალცრემლიანს რომ დაინახავდა.

გოგონამ სახე მოარიდა და არ უპასუხა. ბიჭმა ხელნაწერებს დახედა და მეტი არაფერი უკითხავს, მოიღუშა და ფანჯარასთან დაჯდა.

დიდხანს ისხდნენ ასე ხმისამოუღებლად.

ინეზა ცოცხალი რომ ყოფილიყო, შოეფერებოდა უმცროსებს და ეტყოდა: „რა ცხვირი ჩამოგიშვიათ, ბავშვებო, მამა მოგენატრათ? აი მივწერ და დაბრუნდება, ნახეთ თუ არა!“.

ახლა კი სადღა იყო ინეზა! არც მამა მოუვათ. ისხდნენ დაღონებულნი და ერთმანეთისათვის სანუგეშო ვერაფერი ეთქვათ.

არა გვგონია ასევე აღელვებდეს და აღონებდეს ამ ამბების გახსენება მათ მამას — შალვა პლატონის-ძე ნოდიას.

... იქნებ სხვა მამებისათვის იყოს სამაგალითო ეს ნაღვლიანი ისტორია.

**ი. გოგეჩია,**
**მ. მიქაძე.**

# ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

**თბილისის** სპორტის სასახლეში ორი დღეა გრძელდება საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში სსრ კავშირის, პოლონეთის, კუბისა და ფინეთის უძლიერეს სპორტსმენთა მონაწილეობით.

გუშინ შედგა მორიგი შეხვედრები. ჯღამაძისა და ბესტაევის ორთაბრძოლა გამოირჩეოდა შეუპოვრობით და დამთავრდა პირველის გამარჯვებით. შახოვისა და მჭედლიშვილის შეხვედრაში ფიქსირებულ იქნა ფრე. თბილისელმა გოგიჩაიშვილმა მოუგო კუბელ მონტეგრიოს, შეყრილაძემ წმინდა გამარჯვება მოიპოვა შაპიროსთან, ჯამილოვმა მოუგო ლიტვინს, იბრაჰიმოვმა — კუბელ სანტოსს.

დღეს გაიმართება უკანასკნელი შეხვედრები.

# „ზაგლებეს“ დამარცხება ერევანში

**გუშინ** ერევანში გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი „სპარტაკისა“ და პოლონეთის მეშახტეთა საკლუბო გუნდი „ზაგლებე“ (ყოფილი „სტალი“). გაიმარჯვეს ერევნელებმა ანგარიშით 2 : 1.

# ლიდერობს ი. ავერბახი

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეცხრე ტური.

ა. ბიხოვსკიმ მოუგო მ. იუდოვიჩს, ე. ვასიუკოვმა — ნ. პადევსკის, ლ. არონინმა — რ. ვეიდს, ფ. იგნატიევმა — ბ. ლარსენს, ი. ავერბახმა — პ. დელის. ა. ლილიენტალ-ლ. შამკოვიჩის, ვ. ბარცავ. სიმაგინისა და ვ. გორტი-დ. ბრონშტეინის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

გათამაშების ლიდერია გროსმაისტერი ი. ავერბახი.

# „კომუნისტის“ სპორტი

# ოქროს ბიჭები

**გუშინ** თბილისელ სპორტის მოყვარულებს ნამდვილი ზეიმი ჰქონდათ აეროდრომზე.

თვითმფრინავიდან გადმოდიან ჩვენი ქართველი ხელბურთელები. მათ მკერდს უმშვენებთ ოქროს მედლები, მოაქვთ ჩემპიონობის მთავარი ჯილდო — დიდი თასი, სხვადასხვა პრიზები. გამარჯვებულებს გამარჯვებას ულოცავენ, თაიგულებს უძღვნიან, გულთბილი, ამაღელვებელი შეხვედრა დიდხანს გრძელდება.

სსრ კავშირის ჩემპიონის თბილისის ხელბურთელთა გუნდის მწვრთნელს გ. შარაშიძეს ვთხოვეთ გაეზიარებინა შთაბეჭდილებანი.

აი რა გვიამბო მან:

ჩვენ უკვე კარგად ვიცნობდით მეტოქეთა ერთ ჯგუფს. ესენი იყვნენ მოსკოვის „ტრუდისა“ და კიევის „ბურევესტნიკის“ გუნდები. მაგრამ არ ვიცნობდით კაუნასის „ატლეტასისა“ და ქ. ტირასპოლის გუნდებს, რომლებიც რისხვად მოევლინენ ჩემპიონატის მონაწილეებს.

გზა ფინიშამდე მეტად რთული იყო. არასოდეს დაგვავიწყდება უკანასკნელი ეტაპი — შეხვედრა კაუნასში ადგილობრივ „ატლეტასთან“... დარბაზში, რომელიც მხოლოდ 6 ათას კაცს იტევს, ამჯერად ორჯერ მეტი მაყურებელი იყო. ზოგი იატაკზე მოკეცილიყო, ხოლო ბევრ სკამზე ერთდროულად ორი მაყურებელი იჯდა.

მართალია ჩვენ გადამწყვეტი მატჩის წინ 10 ქულა გვქონდა, ხოლო კაუნასელებსა და მოსკოვის „ტრუდს“ რვა-რვა ქულა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ ნაადრევად გვეზეიმა. წაგების შემთხვევაში მდგომარეობა ჩვენთვის არასახარბიელო აღმოჩნდებოდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს სამ წამყვან მოთამაშეს — ცერცვაძეს, ანთაძესა და ექსეულიძეს ტრავმის გამო ექიმებმა ამ მატჩში მონაწილეობის მიღება აუკრძალეს. მაგრამ ვერავითარმა ტრავმამ ისინი ვერ შეაკავა. ბრძოლა ჭეშმარიტად ისეთი იყო, რომელსაც იშვიათად თუ შეხვდება ხელბურთის მოყვარული სპორტულ პაექრობაში.

საქმე იმაშია, რომ კაუნასელები საკუთარ მოედანზე თამაშობდნენ უჩვეულო მონდომებით, ენერგიით, ამასთანავე როგორც იტყვიან, მათ კედლებიც ეხმარებოდა. სრულყოფილი წონასწორობა ჩვენ მხოლოდ მეორე ტაიმში აღვადგინეთ. როდესაც ანგარიში მიგვყავდა 17:14 და თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, აქ შეცდომას შეცდომა მოჰყვა და მდგომარეობა გათანაბრდა 17:17. წინ იყო საკმაო დრო, მაგრამ ჩვენზე უფრო კაუნასელები ნერვიულობდნენ და სცოდავდნენ. ბოლოს ეს ბრძოლა ფრედ დამთავრდა. ჩვენ ყველაზე უფრო გვესიამოვნა, რომ ობიექტურმა კაუნასელმა მაყურებლებმა და ხელბურთელებმა გულთბილად მოგვილოცეს გამარჯვება.

როგორც ცნობილია, ჩემპიონობასთან ერთად ჩვენ მოვიპოვეთ პრიზი ყველაზე კორექტული თამაშისათვის, ამასთანავე ცერცვაძე და აბაიშვილი უძლიერესები იყვნენ და სპეციალური პრიზი დაიმსახურეს.

ჩვენი გუნდიდან სსრ კავშირის ნაკრებში შეყვანილია ცერცვაძე, ანთაძე, აბაიშვილი, კოპალეიშვილი, ექსეულიძე. ახალგაზრდულ ნაკრებში შევიდნენ ფხაკაძე და ზარდალიშვილი.

ჩემპიონობასთან ერთად მოვიპოვეთ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება, სადაც 22 გუნდი გამოვა.



**სურათზე:** სსრ კავშირის ჩემპიონი — თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა ვუნდი აეროდრომზე.

ფოტო გ. გოგოხიასი.

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

# მნათობი

**გამოვიდა** ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის „მნათობის“ მორიგი, მეოთხე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია ლ. მრელაშვილის „ყაბახი“ (რომანი. დასაწყისი), ა. მირცხულავას ლექსი „მერცხლები“, კ. ბობოხიძის ლექსი „სიცოცხლის ღაბადება“, გ. შატბერაშვილის „თოვლში... შავი მოკასინებით“ (მოთხრობა), გ. კაჭახიძის ლექსი „ყოველ ამინდში გავზაფხულდები“, თ. გოგოლაძის „ნიაღვარი“ (რომანი. გაგრძელება), ო. ჭილაძის ლექსი „იტალიური რვეული“, მ. ქლივიძის „პური და იარაღი“ (მოთხრობა), ს. შანშიაშვილის იგავი „აქლემის კუზი და მეხოტბე მამლაყინწა“, მ. ლოხვიცკის „ზეგნელი ქალიშვილი“ (მოთხრობა. თარგმანი გ. ბუხნიკაშვილისა), ვ. ჯავახაძის ლექსები.

გამოქვეყნებულია ილია დუბინსკის ნარკვევი „ლენინის უახლოესი ამხანაგთაგანი“.

განყოფილებაში „ა. ი. გერცენი“ დაბეჭდილია: გ. ინწკირველი — „დიდი რუსი მოაზროვნე“, შ. სააკაძე — „გერცენი და საქართველო“.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა“, „მეცნიერების სამყაროში“, „წარსულიდან“. გამოქვეყნებულია აგრეთვე წიგნების მიმოხილვა.

## თეატრები

**15 აპრილი**

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის** — კარმენი (დღისით), ტრავიატა (საღამოს, მე-6 აბონ. მე-9 სპექტაკლი), **რუსთაველის სახელობის** — ტერეზას დაბადების დღე (დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ფეხბურთელები (დღისით), ბაბთიანი გოგონა (საღამოს), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — მეკარე (რკინიგზელთა სახლში), **სანკულტურის** — ჩვენი ერთი საღამო, **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—წითელი ემშაკუნები (აბონ. № 41, 11 ს.), ციცია (აბონ. № 28, 7 ს.), **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — კონცერტი-ლექცია—ბოროდინი (დღის 5 ს.).

## ტელევიზია

**16 აპრილი**

12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 12.20 — სიმღერისა და ცეკვის ზეიმი“ (ტრანსლაცია ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლიდან), 13.00 — ფილმი — ბალეტი „ზღაპარი კუზიან კვიცზე“. ფილმის შემდეგ — ქართული და რუსული ენების გაკვეთილები, 18.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.35 — გადაცემა: მხატვრის კვირეული, 18.50 — კინოჟურნალი, 19.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 19.30 — სპორტული გადაცემა. სპორტული გადაცემის შემდეგ — მხატვრული ფილმი „ფატიმა“ და საესტრადო კონცერტი — მიმოხილვა — „დასვენების საღამო“.

## კინო

### ეკრანის სიახლენი

**ჩვენი** ქალაქის ეკრანებზე გამოვიდა ორი ახალი მხატვრული ფილმი, რომლებიც მიძღვნილია კოსმოსში საბჭოთა ადამიანის გაფრენის წლისთავისადმი, — „ყველაზე პირველნი“ და „ქარიშხალთა პლანეტა“. ფილმები გვიამბობენ მამაც, უშიშარ, ოცნებითა და ფანტაზიით გატაცებულ ადამიანთა გმირობაზე, რომლებსაც იერიში მიაქვთ კოსმოსზე.

ამ კინოსურათებთან ერთად ორშაბათიდან ქალაქის კინოთეატრებსა და კლუბებში ნაჩვენები იქნება კინოსტუდია „მოსფილმის“ მიერ შექმნილი ახალი მხატვრული ფილმი „ქალიშვილები“.

• • •



**სურათზე:** კადრი ახალი მხატვრული ფილმიდან „ქალიშვილები“.

## რადიო

**16 აპრილი**
**პირველი პროგრამით**

08.15 — მოძმე სოციალისტური ქვეყნების მუსიკის კონცერტი, 09.20 — ლიტერატურული გადაცემა — ა. ბარბიუსის მოთხრობები, 12.00 — საუბარი: „ლენინის მუშების დახვრეტა და რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა საქართველოში“, 12.15 — ო. თევდორაძე. უვერტიურა, არუთინიანი. კანტატა სამშობლოზე და საზეიმო უვერტიურა, 13.40 — ახალგაზრდობის სიმღერები, 17.20 — ო. გორდელი. ახალგაზრდული უვერტიურა, ო. თაქთაქიშვილი. „შრომის ზეიმი“ (კანტატიდან) 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ნარკვევი: „იდუმალი ხმები“, 18.05 — კონცერტი მეჩონგურე ქალთა ანსამბლის შესრულებით, 18.45 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 19.15 — კამერული მუსიკის კონცერტი, 19.45 — ფელეტონი „დაუდევარნი“, 20.20 — მ. ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერი“, 22.00 — რადიოს დღისადმი მიძღვნილი რადიოდადგმების ფესტივალი „ბერლინის ჩრდილო-დასავლეთით“.

**17 აპრილი**
**პირველი პროგრამით**

07.35 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — პოპულარული კამერული მუსიკა, 09.20 — ქართული სიმღერები, 11.00 — გადაცემა — „მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში“, 11.30 — ტრანსლაცია მოსკოვიდან — მუსიკოს-შემსრულებელთა ჩაიკოვსკის სახელობის მეორე საერთაშორისო კონკურსის დღიური, 12.15 — მოსოლოვის კამერული მუსიკა, 12.45 — არიები ოპერებიდან ნ. ნადიბაიძის შესრულებით, 13.40 — ჩუვაშური სიმღერები, 17.20 — კონცერტი თბილისის თვითმოქმედი ანსამბლებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობით, 17.45 — გადაცემა ყველაზე პატარებისათვის, 18.05 — მუსიკალური რადიონარკვევი: „ურმული“, 18.45 — ბახი. იტალიური კონცერტი ფორტეპიანოსათვის, 19.15 — საზღვარგარეთული მსუბუქი მუსიკა, 19.45 — გადაცემა — „დღეს ჩვენს მიკროფონთან“, 20.20 — რადიოგაზეთი ახალგაზრდობისათვის, 21.05 — ლიტერატურული გადაცემა კულტურის რადიოუნივერსიტეტის მსმენელთათვის — „ქართული საბჭოთა პროზა“ (გადაცემა მეორე), 22.05 — ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.